თბილისის ღია უნივერსიტეტი

ანა ქურდაძე

თემა: ქართული სამხედრო ძალების როლი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში

წარმოდგენილია მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 0177, საქართველო.

2020 წელი, ივლისი

საიდენტიფიკაციო ნომერი:

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

ავტორის ხელმოწერა:

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა

ჩვენ ქვემორე ხელმომწერნი ვადასტურებთ რომ გავეცანით მინდია აფციაურის მიერ შესრულებულ ნაშრომს „ბიოლოგიური იარაღი : მისი განვითარების ეტაპეპი და პოტენციური საფრთხეები“ და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

დაცვის თარიღი:

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული
განვითარების სამსახურის უფროსი _____

რეცენზენტი: _____

Resume

In the midst of current events and challenges of global politics, the question of security becomes increasingly important. For many countries around the world, peacekeeping operations, military campaigns and other, are very important.

For numerous countries, the United Nations and NATO remain a non-competitive resource, due to the fact that these organizations are associated with peace, perspective of war prevention, protection of territorial integrity and stability.

The work aims to demonstrate involvement of Georgia in peacekeeping missions. In the countries like Kosovo, Afghanistan, Iraq, Mali and Central African Republic, peacekeeping missions are needed because local government forces have failed to address the challenges. Georgia, as well as many countries around the world, constantly struggle to maintain sovereignty and aspire to become a member of the North Atlantic Alliance, which would mean becoming the part of security system. The aim of the work is to show the benefits of our country by participating in them.

NATO membership is one of the most important issues for such a small country like Georgia, nevertheless the alliance has the most difficult conditions for applicant countries. The strength of the alliance is based on strong military potential.

The work describes Georgia's efforts to establish itself on world battlefield and attempts of the country to contribute to the strengthening of the world security. Today, Georgia is clearly fulfilling its obligations to the Alliance, which as a result deepens its practical cooperation.

The work also shows NATO-Georgia relations in terms of military-political cooperation.

რეზიუმე

გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებისა და გამოწვევების ფონზე სულ უფრო აქტუალური ხდება უსაფრთხოების საკითხი. მსოფლიოს მრავალი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოებული სამშვიდობო ოპერაციები, სამხედრო კამპანიები და ა.შ.

მრავალი ქვეყნისათვის გაერო და ნატო რჩება უალტერნატივო გამოსავლად, რადგან ისინიასოცირდებიან მშვიდობასთან, ომის თავიდან აცილების პერსპექტივასთან, ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და სტაბილურობასთან.

ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოაჩინოს საქართველოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში. ისეთ ქვეყნებში როგორიცაა:კოსოვო, ავღანეთი, ერაყი, მალი და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, საჭირო გახდა სამშვიდობო მისიების მივლენა, რადგან ადგილობრივი ხელისუფლებისძალებით ვერ მოხერხდა არსებული გამოწვევების მოგვარება.

საქართველოს, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანას, მუდმივი ბრძოლა უწევს სუვერენიტეტის შესანაჩუნებლად და ის მიისწრაფვის გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი და ასევე უსაფრთხოების სისტემის ნაწილი. თემის მიზანია წარმოაჩინოსთუ რა სარგებელს იღებს ჩვენი ქვეყანა მათში მონაწილეობის მიღებით.

ნატოში გაწევრიანება არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ჩვენი პატარა ქვეყნისთვის, მაგრამალიანსს ურთულესი პირობები აქვს მსურველი ქვეყნებისთვის. ალიანსის სიძლიერის საფუძველი მძლავრი სამხედრო პოტენციალია.

ნაშრომში აღწერილია საქართველოს ძალისხმევა მსოფლიო ასპარეზზე თავის დასამკვიდრებლად. ქვეყნის მცდელობა, რათა წვლილი შეიტანოს მსოფლიო უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.საქართველო დღესდღეობით პირნათლად ახორციელებს დაკისრებულ ვალდებულებებს ალიანსის წინაშე, რის შედეგადაც პრაქტიკული თანამშრომლობა უფრო და უფრო ღრმავდება.

თემაში ასევე საუბარია ნატო-საქართველოს ურთიერთობებზე სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის კუთხით.

სარჩევი

შესავალი.....

თავი I. საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა და მისი როლი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში

1.1. სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა: ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისი.....5
1.2. მისია კოსოვოში.....10
1.3. კოსოვოს საკითხის მიმართება საქართველოსთან 15
1.4. მისია ერაყში.....18
1.5. მისია ავღანეთში.....25
1.6. მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში.....30
1.7. მისია მალის რესპუბლიკაში.....33
1.8. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში……. 36

თავი II. საქართველოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში და ნატო-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები

2.1. ნატო-საქართველოს ურთიერთობების ჩამოყალიბება და განვითარება.....39
2.2 სამშვიდობო ოპერაციების არსი და მნიშვნელობა 45

დასკვნა.....53

გამოყენებული ლიტერატურა.....56

შესავალი

<u>კვლევის აქტუალობა</u>:საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი პატარა ქვეყნისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია გახდეს ევროკავშირის წევრი ქვეყანა. საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა ქვეყნისთვის წარმოადგენს ეროვნული უსაფრთხოების გარანტს, მაგრამ ამისთვის მას მოუწევს რიგი რთული ვალდებულებების პირნათლად შესრულება.

ნაშრომის აქტუალობა განპირობებულია საქართველოს, როგორც დემოკრატიის აღმშენებლობის გზაზე მყოფი ქვეყნის სწრაფვით და მცდელობით გახდეს ევროპის ნაწილი. ქვეყანამ უკვე რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ევროპისკენ, კერძოდ კინატოში ინტეგრაციისკენ. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მათ შორის გახლავთ მონაწილეობა საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, რომლებშიც საქართველო საკმაოდ აქტიურადაა ჩართული. ქვეყანა სულ უფრო და უფრო უახლოვდება ევროატლანტიკურ სტრუქტურებს, ასევე იღებს პრაქტიკულ თუ თეორიულ გამოცდილებას პირადი შემადგენლობის მომზადების დონის ზრდისთვის და საერთაშორისო დონეზე მკვეთრად იუმჯობესებს იმიჯს.

თემის მიზანია წარმოაჩინოს საქართველოს ალიანსში გაწევრიანების ღიად გამოთქმული სურვილი. მისი ჩართულობა ერაყის, ავღანეთის, კოსოვოს, მალის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სამშვიდობო მისიებში არის განაცხადი იმისა, რომ ქვეყანას შეუძლია მსოფლიოს მასშტაბი არსებული პრობლემის მოგვარების თანამონაწილე გახდეს.

<u>კვლევის მიზანი</u>: კვლევის მიზანია შევისწავლოთ, თუ რა დადებით გავლენას ახდენს ჩვენს ქვეყანაზე საერთაშორისო მისიებში ქართული შენაერთების მონაწილეობა. იზრდება თუ არა საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები და რამდენად მყარდება მისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე.

კვლევაში წარმოჩენილია თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში ჩართულობა, რომელიც აისახება, როგორც ქვეყნის იმიჯის განმტკიცებაზე საერთაშორისო დონეზე, ასევე დადებით ასახვას პოულობს ქართველი სამხედროების პროფესიონალიზმის გაზრდის კუთხით.

<u>მეცნიერული სიახლე</u>:ჩვენს მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო ნაშრომში სიღრმისეულადაა დამუშავებული შემდეგი საკითხები:

- საქართველოს არმიის მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში;
- რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს ქართველი მშვიდობისმყოფელების მისიებში ჩართულობას;
- როგორ ხდება ქართული სამშვიდობო ძალების თეორიული და პრაქტიკული მომზადება და როგორია მათი აღჭურვილობა;

- როგორი იმიჯი აქვს საქართველოს არმიას დღეისათვის მსოფლიო მასშტაბით და თავსებადია თუ არა ის ევროატლანტიკურ სივრცესთან.

<u>კვლევის ობიექტი</u> - კვლევის ობიექტს წარმოადგენს სამხედრო თანამშრომლობა, რომელიც მნიშვნელოვანია როგორც საქართველოსთვის, ასევე ევროპისათვის, რადგან საქართველომ სხვადასხვა მისიაში ჩართულობის დროს მრავალჯერ შეიტანა უდიდესი წვლილი საერთაშორისო უსაფრთხოების და მშვიდობის უზრუნველყოფაში.

აღნიშნული საკითხი ჩვენს დღევანდელობაში ერთ-ერთი აქტუალურია, უამრავი მოსაზრება და კვლევა არსებობს საქართველოს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. საკითხი აქტუალური და საინტერესოა არამხოლოდ პოლიტიკით დაინტერესებული, არამედ ნებისმიერი ადამიანისთვის, რომელიც თვალს ადევნებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს.

კვლევისას გამოყენებულია აღნიშნულ საკითზე მომუშავე მეცნიერთა და ექსპერტთა შეხედულებები და მასალები.

<u>კვლევის მეთოდოლოგია:</u> სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას გამოყენებულ იქნა თვისობრივი კვლევის მეთოდები, რომლის საფუძველზეც მოვახდინეთ დაინტერესებული მხარეების ინტერესების შესწავლა და ანალიზი. ნაშრომში სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გამოყენებულ იქნა ღია და საჯარო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, რომელიც აგებულია მხარეთა ინტერესებზე, მითუმეტეს საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებულ შტატებთან და NATO-სთან დაახლოვების პერსპექტივები.

<u>ნაშრომის სტრუქტურა:</u>ნაშრომი შედგება შესავლის, 2 თავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

თავი I. საქართველოს ადგილი და როლი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში

1.1.სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა: ურთიერთობების ახალი ეტაპის დასაწყისი

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ბევრი ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, მათ შორის გახლდათ საქართველოც, რომლისთვისაც ისევე როგორც სხვა მრავალი პატარა ქვეყნისთვისუმთავრეს ამოცანასუსაფრთხოების უზრუნველყოფაწარმოადგენდა.

ზოგიერთმა ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრმა ქვეყანამ რუსეთის მხარეს დარჩენა ამჯობინა, ხოლო საქართველომ, რომლის მიზანსაც დემოკრატიული გარემოს შექმნა წარმოადგენდა, დამოუკიდებლობის მიღებისთანავე ევროკავშირთან და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის სურვილი გამოხატა, თუმცა მძიმე ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის მქონე ქვეყანას, ძალიან გაუჭირდა სწრაფი დასავლური განვითარება.

ნატოს და საქართველოს ურთიერთობები 1992 წლიდან იწყება, რაც დაკავშირებულია ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოსთან ინტეგრაციასთან (NACC – North Atlantic Cooperation Council), რომელსაც 1997 წლიდან ეწოდება ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC - Euro-Atlantic Partnership Council). ურთიერთობა გაღრმავდა, როდესაც შეიქმნა ნატოს პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP - Partnership for Peace), რომლის მიზანსაც წარმოადგენდა „საფრთხეების თავიდან აცილება, სტაბილურობის განმტკიცება და მყარი თანამშრომლობის ჩამოყალიბება, როგორც ნატოსა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყნებს შორის, ისე თავად პარტნიორ

სახელმწიფოებს შორის“[1] პროგრამის გარდა ნატოს ინტერესს კავკასიისადმი და კერძოდ საქართველოსადმი წარმოადგენდა კონტრაქტი, რომელიც გულისხმობდა კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვებას და შემდგომ ტრანსპორტირებას აზერბაიჯანსა და დასავლურ კომპანიებს შორის. ნატოს ინტერესები აღნიშნული კონტრაქტის შემდგომ ფაქტიურად დაკავშირდა კავკასიის რეგიონთან და დასავლეთისთვისაც ცხადი გახდა საქართველოს მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური როლი ენერგორესურსებთან დაკავშირებით.

2002 წელს კი საქართველოს მეორე პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის მიერ, პრაღაში გამართულ სამიტზე, პირველად გახმაურდა სურვილი საქართველოს ნატოში გაწევრიანების შესახებ.

ამის შემდგომ საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ნატოსთან დაახლოების მიზნით. 2004 წელს ის პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ნატოსთან პარტნიორობის გეგმა შეიმუშავა და მის წინაშე კონკრეტული შესასრულებელი ვალდებულებები აიღო. შემდგომი 4 წლის მანძილზე ნატოს საერთაშორისო სამსახურიდან ჩვენმა ქვეყანამ პოზიტიური შეფასებები მიიღო, ხოლო 2006 წლიდან ალიანსმა საქართველოსთან აქტიური თანამშრომლობა და კონსულტაციები დაიწყო გაწევრიანებასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანიმოვლენაა 2006 წლიდან საინფორმაციო ცენტრის შექმნა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა მოსახლეობის ინფორმირება ნატოს შესახებ.

2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ნატოს ლიდერების მხრიდან მიღწეულ იქნა შეთანხმება საქართველოს ნატოს წევრობასთან დაკავშირებით, რაც საქართველოსთვის ერთერთი მნიშვნელოვანი და პოზიტიური გზავნილია.

ამის შედგომ, საქართველომ აქტიურად განაგრძო აღებული ვალდებულებების შესრულება, 2011 წლის 7 დეკემბერს კი ნატოს შტაბ-ბინაში გაიმართულ მინისტერიალზე მონტენეგროს, ბოსნია-ჰერცეგოვინას და

[1]ნიკა ჩიტაძე-ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი 2007წ.

იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად ის მოიხსენიეს როგორც ასპირანტი ქვეყანა.

2012 წელს, ჩიკაგოს სამიტზე საქართველოს დაჯგუფებამოხდა ნატოს წევრობის აშკარა პერპექტივის მქონე ქვეყნებთან და ასევე წარმოჩინდა ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში მისი წვლილი.

2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე საქართველოს გადაეცა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტი (Substantial NATO-Georgia Package/SNGP), რომლის მიზანია განავითაროს საქართველოს თავდაცვითი საშუალებები, განხორციელდეს სწავლებები და წვრთნები, რაც სამომავლოდ ნატოში ინტეგრაციისთვის აუცილებელ ფაქტორს წამოადგენს. აღნიშნული პაკეტის განხორციელებაში ძალიან დიდია თავად ნატოს ჩართულობა, საქართველოს შესაძლებლობა ეძლევა ჩაერთოს ნატოს ეგიდით გამართულ დისკუსიებში,მონაწილეობა მიიღოს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის გაცვლის და კიდევ მრავალ საჭირო ღონისძიებაში, რომელიც მნიშვნელოვანია ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით.

აღსანიშნავი და ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ის, რომ 2015 წელს საქართველოში გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნის და შეფასების ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს ჩვენი შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობისადა ეფექტურობის ამაღლებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსთვის ნატოსკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთმნიშვნელოვან ფაქტორს მის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა წარმოადგენს, რასაც იგი წარმატებით ახორციელებს.

ევროატლანტიკურმა ალიანსმა შექმნის დღიდან მრავალი ცვლილება განიცადა. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მისი ისტორიიდან გახლავთ გადაწყვეტილება, რომელიც გულსიხმობს მის ჩართვას სამშვიდობო ოპერაციებში ნებისმიერ კონფლიტურ რეგიონში. ნატომ პირველი სამშვიდობო ოპერაცია ოთხმოცდაათაინ წლებში განახორციელა, რასაც მოჰყვა რიგი ოპერაციებისა,

რომელთა მეშვეობითაც ალიანსმა მსოფლიოს დაანახა უნარი გაუმკლავდეს პრობლემას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. მას გააჩნია მრავალი ბერკეტი, რაც აძლევს საშუალებას დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება წარმოქმნილ გამოწვევაზე.

უმნიშვნელოვანესიასაერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებშისაქართველოს როლი.

1.2. მისია კოსოვოში

აუცილებელია აღვნიშნოთ ნატოს მიერ ჩატარებული პირველი სამშვიდობო ოპერაცია ბოსნია-ჰერცოგოვინაში, სადაც მიუხედავად გაეროს მცდელობისა წარმოუდგენელი იყო კონფლიქტის დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით მოგვარება. 1995 წლის 30 აგვისტოს, ნატოს მიერ, საჰაერო იერიში განხორციელდა ბოსნია-ჰერცეგოვინაში სერბთა სამხედრო ნაწილზე და გაგრძელდა იმავე წლის 15 სექტემბრამდე. აღნიშნული ღონისძიების წარმატებით შესრულებამ დააჩქარა დაპირისპირებული მხარეების სამშვიდობო მოლაპარაკებები და მათ შორის გაფორმდა დეიტონის სამშვიდობო შეთანხმება (Dayton Peace Accord). ამის შემდგომ, ნატოს და გაეროს ძალების ერთობლივად მუშაობისშედეგად რეგიონში მშვიდობა და უსაფრთხოება დამყარდა, ასევე რიგი ღონისძიებები გატარდა სამოქალაქო ასპექტების ხელშეწყობის კუთხით. სტაბილური გარემოს აღდგენის შემდეგ ნატომ 2004 წლის ბოლოს მისია დაასრულა, მშვიდობის შესანარჩუნებელი მისია კი თავის თავზე ევროკავშირმა, კერძოდ კი მისმა სამხედრო მისია ალთეამ (Althea) აიღო.

დღეისათვის ბოსნია-ჰერცეგოვინა ასრულებს გაწევრიანების სამოქმედო გეგმას და ნატოს ერთ-ერთ ასპირანტ ქვეყანას წარმოადგენს.

1999 წლის ივნისიდან ნატომ დაიწყო სამშვიდობო მისიის განხორციელება კოსოვოში, რადგან აუცილებლობა მოითხოვდა დასრულებულიყო მილოშევიჩის

რეჟიმი, და საომარი მოქმდებები სერბ სამხედროებსა და კოსოვოელ ალბანელებს შორის.

მანამდე, 1989 წელს, იუგოსლავიის ყოფილმა პრეზიდენტმა, სლობოდან მილოშევიჩმა განახორციელა კოსოვოს, უმეტესწილად ალბანელებით დასახლებული მხარის ავტონომიური სტატუსის გაუქმება, რომლითაც ის 1989 წლამდე სარგებლობდა. კოსოვო დაექვემდებარა ბელგრადის უშუალო მმართველობას, რამაც ადგილობროვი მმართველობის დიდი აღშფოთება გამოიწვია.

სიტუაცია განსაკუთრებით დაიძაბა 1998 წელს, როდესაც სერბ ჯარისკაცებსა და „კოსოვოს განმათავისუფლებელ არმიის“ მებრძოლებს შორის გაიმართა ღია კოფლიქტი, რომელშიც 1500-მდე ადამიანი დაიღუპა, ხოლო 400 ათასამდე ადამიანს კი იძულებით მოუწია საცხოვრებელი ადგილის დატოვება.

ამავე წელს ნატოს საბჭოს საგარეო საქმეთა მინისტრების სესიაზე განისაზღვრა კოსოვოში კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების გეგმა და ასევე უსაფთხოებისა და სტაბილურიბის უზრუნველყოფა ქვეყანაში, რომელშიც ძირითადად ყურადღება გამახვილებული ალბანეთსა და მაკედონიაზე იქნებოდა.

1998 წლის 12 აგვისტოს ალიანსის გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ ნატო იძულებული გახდებოდა განეხორციელებინა რეგიონში სამშვიდობო ოპერაციები, იმ შემთხვევაში თუ გაგრძელდებოდა სამხედრო დაპირისპირება და მშვიდობიან მოსახლეობაზე ძალადობა.

თვენახევრის შემდეგ, ნატოს მიერ კოსოვოში შექმნილი ვითარების ხელმეორედ განხილვის შედეგად ალიანსმა მზადყოფნა გამოაცხადა სამშვიდობო საჰაერო კამპანიის დასაწყებად.

კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით 24-25 ოქტომბერს ნატოს მაღალჩინოსნები ბელგრადში შეხვდნენ იუგოსლავიის პრეზიდენტ მილოშევიჩს და სცადეს დაერწმუნებინათ კომფლიქტის შეჩერების აუცილებლობაში, მაგრამ შეხვედრამმხოლოდ დროებითი შედეგი გამოიღო. მიუხედავად იმისა, რომ

ალიანსმა სამართლიანობის აღდგენა საერთაშორისო ნორმებზე მაღლა დააყენა და ყოველმხრივ ეცადა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას. იუგოსლავიის ხელისუფლების არამართებული პოზიციის გამო რეალური შედეგი არ დადგა და ნატო იძულებული გახდა იუგოსლავიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ განეხორციელებინა სამხედრო ოპერაცია, რათა შეეჩერებინა მათი დევნა კოსოვოელი ალბანელების, ქვეყნის ეთნიკური უმცირესობის წინააღმდეგ.

ალიანსი იძულებული გახდა მისია დაეწყო გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციის გარეშე, რაგდან საბჭოს შემადგენლობაში მყოფი ორი მუდმი წევრი ქვეყანა, რუსეთი და ჩინეთი წინააღმდეგნი იყვნენ იუგოსლავიის ტერიტორიაზე ნატოს სამხედრო ოპერაციის.

კოსოვოში სიტუაციის გართულების შემდეგ, ალიანსი საკმაოდ დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. ნატოს ძალისხმევა თუ შედეგს ვერ გამოიღებდა და მილოშევიჩის რეჟიმი კვლავ განაგრძობდა კოსოვოელი ალბანელების შევიწროვებას, ალიანსი იძულებული გახდებოდა გამოეყენებინა სამხედრო ძალა, თუმცა საერთაშორისო სამართალში არსებული ნორმებით მშვიდობის დამყარება შესაძლებელი გახდებოდა გაეროს წესდების VII მუხლის საფუძველზე, რაც მოხდებოდა გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის მიღების შემდეგ, ეს კი ფაქტიურად შეუძლებელი იყო, რადგან რუსეთი კეთილგანწყობილი იყო სერბების მიმართ და უშროების საბჭოში აუცილებლად ისარგებლებდა ვეტოს უფლებით.

აღნიშნულ მდგომარეობას შეიძლებოდა დიდი ზიანი მიეყენებინა არამხოლოდ ნატოს რეპუტაციისთვის, არამედ მთელი ბალკანეთის ნახევარკუნძულისთვის, რასაც კოსოვოში ძალადობრივი რეჟიმის გაგრძელება გამოიწვევდა.

მეორეს მხრივ, დასავლეთიც აცნობიერებდა საშიშროებას, რომ შესაძლოა ნატოს რუსეთის გვერდის ავლით კოსოვოს კომფლიქტში ჩართვა, რუსეთის დაკარგვის ტოლფასი გამხდარიყო.

ვითარება კი რეგიონში უფრო და უფრო იძაბებოდა. ევროპის შუაგული ჰუმანიტარული კატასტროფის საშიშროების წინაშე იდგა, რადგან კოსოვოდან გამოქცეული ხალხი ევროპას აფარებდა თავს. დასავლურ მედიაში ნატოს აკრიტიკებდნენ უმოქმედობის გამოდა და ალიანსი იძულებული იყო რადიკალური ზომები გაეტარებინა. მისი აქტიურობის და საერთაშორისო ზეწოლის შედეგად ბელგრადის ხელისუფლებასა და კოსოვოელ ალბანელებს შორის მოლაპარაკებები განახლდა. მოლაპარაკებები რთულად მიმდინარეობდა, რადგან სერბები, რომლებიც კოსოვოს იუგოსლავიის შემადგენელ ნაწილად თვლიდნენ, არ თანხმდებობდნენ კოსოვოში ნატოს ჯარის განლაგებას და ამაში მათ რუსეთიც მხარს უჭერდა. კოსოვოელი ალბანელები ითხოვდნენ პოლიტიკური სტატუსის შესახებ რეფერენდუმის ჩატარების გარანტიებს და მათ მიღებამდე განიარაღებას არ აპირებდნენ. საბოლოოდ მოხერხდა კოსოვოელი ალბანელების დათანხმება, მაგრამ ბელგრადის ხელისუფლება, მიუხედავად ნატოს მხრიდან რამდენჯერმე გაფრთხილებისა კვლავ აგრესიულ პოლიტიკას აგრძელებდა, რამაც შეთანხმების ჩაშლა გამოიწვია.

მილოშევიჩის რეჟიმის მხრიდან ნატოს წინადადებების უგულებელყოფის საპასუხოდ, 1999 წლის 24 მარტს ნატოს თავდაცვის პოლიტიკისა და შეიარაღებული ძალების დაგეგმვის სამსახურის სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ოპერაცია „გაერთიანებული ძალების" დაწყების შესახებ, რასაც რამოდენიმე საათში იუგოსლავიის სამხედრო ძალების წინააღმდეგ საჰაერო რეიდები მოჰყვა.

ნატო თავისი მიზნის განხორციელებისთვის ყველაზე მაღლა ადამიანის უფლებათა დაცვას და მორალურ საწყისებს აყენებდა. მან ყველანაირი დიპლომატიური საშუალების გზით სცადა მოლაპარაკების წარმოება, მაგრამ უშედეგოდ. საბოლოოდ მაინც იძულებული გახდა საჰაერო იერიში მიეტანა იუგოსლავიის სამხედრო სტრუქტურების წინააღმდეგ. კამპანია 1999 წლის 24 მარტს დაიწყო და 78 დღე გრძელდებოდა.

1999 წელს ნატოსა და ყოფილი იგოსლავიის არმიის სარდლობას შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას, ხოლო იმავე წელს ნატომ რეგიონში გაგზავნა ეგრეთწოდებული კოსოვოს ძალები (Kosovo Force – KFOR), რომელთაც დაევალათ „საომარი მოქმედებების შეჩერება, უსაფრთხო გარემოს დამკვიდრება და საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის უზრუნველყოფა“.[2]სამშვიდობო მისიაში ერთიანდებოდა 50 000 ათასი სამხედრო მოსამსახურე, და მათ შორის იყვნენ არამხოლოდ ნატოს წევრი ქვეყნები, არამედ პარტნიორი ქვეყნების მშვიდობისმყოფელებიც.

2008 წელს, როდესაც კოსოვოს მთავრობამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, საერთაშორისო ასპარეზზე ურთიერთობა დაიძაბა, მაგრამ ნატოს სამშვიდობოგეგმა რეგიონში უცვლელი დარჩა დაგაგრძელდა.

ნატოს სამშვიდობო მისიას ქართველი ჯარისკაცები 1999 წელს შეუერთდნენ. იმ დროისთვის ისინი ვერ აკმაყოფილებდნენ საერთაშორისო სტანდარტებს, თუმცა თურქეთის მხარის დახმარებით ჩამოყალიბდა კოჯრის სპეცდანიშნულების რაზმი, რომელიც წარიგზავნა კოსოვოში სამშვიდობო ოპერაციების განსახორციელებლად.

სრულიად ყველა ხარჯზე პასუხისმგებლობა თურქეთს ჰქონდა აღებული. 2003 წლიდან კი უკვე გერმანული ქვედანაყოფის შემადგენლობაში შესული ქართული არმია 300 ჯარისკაცამდე გაიზარდა. დანიშნულების ადგილზე ჩასვლამდე ისინი გერმანიაში გადიოდნენ სამხედრო მომზადებას. კოსოვოში ქართულ ჯარს ევალებოდა სამშვიდობო ღონისძიებების გატარება, მოსახლეობისა და ბაზების დაცვა და ა.შ.

კოსოვოს სამშვიდობო მისიაში საქართველოს ჯარის ჩართვა, ერთ-ერთი პირველი სერიოზული განაცხადია ნატოსკენ სწრაფვისაკენ. ომგამოვლილმა და ეკონომიკურად ძლიერ დასუსტებულმა ქვეყანამ გერმანელ და თურქ პარტნიორებთან ერთად შეძლო მისიის წარმატებით განხორციელება, აიმაღლა

[2]https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_48818.htm

შეიარაღებული ძალების მომზადების დონე და დანერგა ნატოს სტანდარტები, საქართველოს იმიჯი კისაერთაშორისო არენაზე მკვეთრად გაუმჯობესდა.

ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა კოსოვო 2008 წელს უდანაკარგოდ დატოვეს.

1.3 კოსოვოს საკითხის მიმართება საქართველოსთან

მას შემდეგ, რაც კოსოვომ, სერბეთის ყოფილმა ავტორნომიურმა ერთეულმა, 17 თებერვალს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, აღნიშნული საკითხის ირგვლივ უმალ უამრავი კითხვა გაჩნდა. უმთავრესი კითხვა გახლდათ რამდენად გახდებოდა კოსოვოს კოფლიქტი მაგალითი და შესაძლებელს გახდიდა სხვა კონფლიქტების ანალოგიური გზით მოგვარებას. ეს კითხვები უმთავრესად მნიშვნელოვანი ჩვენი ქვეყნისთვის იყო, რადგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებობს ორი მსგავსი კონფლიქტი.

უამრავი ქართველი და უცხოელი პოლიტიკური მოღვაწე ღიად აფიქსირებდა აზრს და მიგვითითებდა მათ მსგავსებაზე. ამისათვის კი აუცილებელია მოხდეს კონფლიქტების ურთიერთშედარება და გამოვლინდეს როგორც მსგავსებები, ასევე გასხვავებები მათ შორის.

ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ აფხაზეთში, აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები, რომლებიც საერთო მოსახლეობის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდნენ, უმაღლეს საბჭოში 28 ადგილს იკავებდნენ, ხოლო ქართველებს, რომლებიც 47 პროცენტს შეადგენდნენ, დაკავებული ჰქონდათ მხოლოდ 26 ადგილი.

აქედან გამომდინარე, თავისი რიცხოვნების მიხედვით აფხაზ ხალხს საკმაოდ მოწინავე პოზიციები ეკავა. ამას გარდა აფხაზეთში დაცული იყო მათი უფლებები და კულტურა, ვითარდებოდა მათი ენა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ის ფაქტი, რომ კონფლიქტის მიზეზი აფხაზ ხალხზე ზეწოლა და მათი დისკრიმინაცია იყო, ყველანაირ საფუძველსაა მოკლებული.

აფხაზეთის კონფლიქტის საფუძვლად შეგვიძლია განვიხილოთ საგარეო იმპულსებით ნაკარნახევი პოლიტიკური მოტივებით ხელოვნურად წარმოქმნილი სეპარატიზმი.

კოსოვოს კონფლიქტის დროსაც მნიშვნელოვნად იგრძნობოდა საგარეო გავლენა, მაგრამ ის აფხაზეთის კონფლიქტისაგან მაინც მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. სერბეთის ხელისუფლება, მილოშევიჩის მეთაურობით სრულიად არამართებულ პოლიტიკას აწარმოებდა. ამის გამო ალბანელ ხალხს მოუწია გამოყოფა, რასაც მოჰყვა მათი დისკრიმინაცია, მილოშევიჩის რეჟიმმა გააუქმა კოსოვოს ავტონომია, ხოლო ამ რეჟიმის წინააღმდეგ პროტესტს ალბანელი ხალხის რესპრესიები და შევიწროება მოჰყვა. ამავდროულად კი კოსოვოელი სერბები სრულ თავისუფლებას განიცდიდნენ და ხელისუფლების წამყვანი ადგილები ჰქონდათ დაკავებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აფხაზეთისა და კოსოვოს კონფლიქტები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა ორივე კონფლიქტი საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის დაშლის შემდეგ წარმოიქმნა. ეთნიკური წმენდა ორივე შემთხვევაში მიმდინარეობდა, ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა, ასევე ორივე კონფლიქტის დროს ხდებოდა საერთაშორისო ნორმათა დარღვევა.

უამრავი ფაქტი ადასტურებს იმას, რომ აფხაზეთის ომის დროს მიმდინარეოდა ქართველი ხალხის შევიწროება და ეთნიკური წმენდა, რაც უამრავი საერთაშორისო აქტითაადასაბუთებული. აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარებით სრულიად დაირღვა საერთაშორისო სამართალის ნორმები.

კოსოვოს დამოუკიდებლობა კი ქვეყანაში ნატოს ჯარების ჩარევის შემდეგ განხორციელდა, როდესაც ქვეყანაში ალბანელი ხალხის მისამართით ხორციელდებოდა ეთნიკური წმენდა.

საქართველოსთვის, კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარება შეიძლება განვიხილოთ როგორც უარყოფით, ასევე დადებით ფაქტად. ის, რომ კოსოვო განეკუთვნებოდა სერბეთის ავტონომიას, ხშირად ხდება რიგი სახელმწიფოების მხრიდან სპეკულირების საგანი. მათ კოსოვოს შემთხვევა მაგალითად მოჰყავთ და აიგივებენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან. მაგრამ მეორეს მხრივ, იმისათვის რომ დაბალანსდეს კოსოვოს დამოუკიდებლად აღიარების ფაქტი, კარგი იქნება მეორე პრეცედენტის შექმნა, რომელიც მიმართული იქნება არა სეცესიის, არამედ პირიქით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სასარგებლოდ.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს ომს, ყველასათვის ცნობილია, რომ ეს იყოს რუსეთის მხრიდან წინასწარ მოფიქრებული და კოსოვოს მაგალითზე კარგად დაგეგმილი კონფლიქტი.

ომის დაწყებამდე რამოდენიმე დღით ადრე რუსეთის მხრიდან ხორციელდებოდა ცრუ ინფორმაციის გაშუქება იმის თაობაზე, რომ ქართველების მხრიდან მიმდინარეობდა ოსების შევიწროება და რუსეთი ვალდებული იყო დაეცვა ეთნიკური უმრავლესობა.

რუსეთის დაწყებული აგრესია, რომლის მიზანსაც საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების დამხობა წარმოადგენდა, დამთავრდა ცხინვალის სრული ოკუპაციით.

მას შემდეგ მრავალი კვლევა ჩატარდა რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით და მათ შორის აღსანიშნავია ომის გარემოებების დამდგენი საერთაშორისო კომისიის დასკვნა, რომელშიც ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ომი, რომელიც ცხინვალის ოკუპაციით დასრულდა, იყო რუსეთის მხრიდან წინასწარ მომზადებული საქართველოს მისამართით განხორციელებული პროვოკაცია.

1.4. მისია ერაყში

ტერორიზმის ზრდამ მნიშვნელოვნად შეარყია მსოფლიო სიმშვიდე,ხოლო ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის მთავარი გამოწვევა გახდა. ნატომ მთავარ პრიორიტეტად მსოფლიოში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა დაისახა. ალიანსის თავდაცვის პოლიტიკამ ტრანსფორმაცია განიცადა და თავს უფლება მისცა საჭიროების შემთხვევაში ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე ემოქმედა და აღმოეფხვრა ტერორისტებისგან მომდინარე საფრთხეები, რომელსაც დიდი პრობლემების შექმნა შეეძლო როგორც წევრ ასევე პარტნიორ ქვეყნებში.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდგომ პირველად ამოქმედდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი და ალიანსმა სასწრაფო ზომები მიიღო აშშ-ს მხარდასაჭერად, რომლისთვისაც ტერაქტის შემდეგ ტერორიზმი და მასთან ბრძოლა უმთავრეს პრობლემად გადაიქცა.

მიზეზი კი ისეთი იყო, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის აქტუალურობას, ბირთვული, მასობრივი განადგურების იარაღი, ერაყის იმდროინდელი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის შესაძლო კავშირები ტერორისტულ ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან.

ომის დაწყების მიზეზიც რათქმა უნდა ტერორიზმი იყო. ერაყში არსებული რეჟიმი და მათი დამოკიდებულება ტერორიზმთან მიმართებაში ვერ იძლეოდა უსაფრთხოების გარანტიას მთლიანად ახლო აღმოსავლეთის ტერიტორიაზე. ერაყის იმჟამინდელი პრეზიდენტი გახლდათ სადამ ჰუსეინი, რომელსაც დიდი ალბათობით ტერორისტულ ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან კავშირი ბრალდებოდა. არსებულმა სიტუაციამ საფუძველი ჩაუყარა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მონაწილეობით ანტიერაყული კოალიციის შექმნას, რომელსაც შემდგომ სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ. მათ მიზანს წარმოადგენდა სადამ ჰუსეინის გადაყენება, რის შემდეგაც ერაყელ მოსახლეობას საშუალება ექნებოდა თავი დაეღწია სიდუხჭირისგან და ჩაგვრისგან. ასევე კვლავ განახლდებოდა სამშვიდობო პროცესები არაბეთსა და ისრაელს შორის. გარდა ამისა ერაყი

მოიაზრებოდა, როგორც მასობრივი იარაღის გავრცელების საფრთხის შემცველი ქვეყანა და ამიტომ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მხარი დაუჭირა ოპერაციის დაწყების გადაწყვეტილებას.

კოალიციური ძალების მხრიდან თავდაპირველად განხორციელდა შტაბების განლაგება ერაყის მახლობელ ტერიტორიებზე, კერძოდ კი ქუვეითში, ბაჰრეინსა და კატარში. ამის მიზეზს წარმოადგენდა ერაყის სამხედრო ძალებზე ინფორმაციის მოპოვება, ასევე ხდებოდა საბრძოლო აღჭურვილობის გადაგზავნა სპარსეთის ყურის მიმართულებით. პარალელურად, კოალიციური ძალების მხრიდან მიმდინარეობდა საბრძოლო სწავლებები.

აეროპორტის დაკავება, ხოლო 10 აპრილს უკვე მთლიანად ქალაქი იქნა აღებული.დაგეგმილი ოპერაციის კოდური სიტყვა გახლდათ „შიში და ცახცახი“(Shock and Awe), ხოლო შემდგომ სახელი შეიცვალა და გახდა „ოპერაცია თავისუფლება ერაყს“ (Iraq Freedom).

ერაყში მოქმედებების დაწყებამდე ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილმა პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა მიმართა სადამ ჰუსეინს, რომ 24 საათის განმავლობაში დაეტოვებინა ერაყის ტერიტორია, მოთხოვნის განხორციელების სანაცვლოდ კი მოხდებოდა ერაყის მოსახლეობის სიმშვიდითა და სურსათით უზრუნველყოფა. იმ შემთხვევაში, თუ სადამ ჰუსეინი ოჯახის წევრებთან ერთად არ შეასრულებდა აშშ-ს მოთხოვნას, ერაყის ტერიტორიაზე დაიწყებოდა სამხედრო ოპერაციები.

ერაყის ხელისუფლების მხრიდან მოხდა მოთხოვნის მტკიცე უგულებელყოფა და მეტიც, სადამ ჰუსეინმა განცხადებაში ამერიკის შეერთებულ შტატებს მტერი უწოდა და მომხრეებს კი მოუწოდა დაეცვათ საკუთარი ქვეყანა.

კოალიციური ძალები უმაღლეს დონეზე იყვნენ მომზადებულნი. მათ ერაყის საზღვართან განალაგეს უამრავი ტანკი, ჯავშანტექნიკა და შვეულმფრენი, რასაც ემატებოდა დიდი რაოდენობის სამხედრო ძალები და დამხმარე ჯგუფები. კასპიის ზღვასა და სპარსეთის ყურეში მდებარე ავიამზიდებზე განათავსეს

საბრძოლო თვითმფრინავებიც. ამ დროს კი ერაყის არმია მიუხედავად მრავალრიცხოვნებისა საკმაოდ მოძველებური ტექნიკით იყო წარმოდგენილი და ვერ აკმაყოფილებდა მაღალი დონის სტანდარტებს.

კოალიციამ ჩამოაყალიბა ორი ძირითადი ჯგუფი „სამხრეთი“, რომელსაც უნდა განეხორციელებინა სამხრეთ რაიონისა და ბაღდადის აღება და “დასავლეთი”, რომელსაც სირიისა და იორდანიისკენ მიმავალი გზების გადაკეტვა დაევალა. თურქეთის უარის შედეგად ვერ მოხერხდა დაჯგუფება „ჩრდილოეთ“-ს შექმნაც, რომელსაც ერაყისთვის თურქეთის მხრიდან შეტევა უნდა განეხორციელებინა.

საკმაოდ მაღალ დონეზე და ზუსტად დაგეგმილი ოპერაცია ერაყის წინააღმდეგ 20 მარტის ღამეს ფრთოსანი რაკეტების გამოყენებით დაიწყო. დაჯგუფება „სამხრეთის“ მხრიდან საკმაოდ სწრაფად მოხდა ერაყის დიდი ტერიტორიის დაპყრობა. აპრილის დასაწყისში ამერიკის სამხედრო ნაწილმა მოახერხა ბაღდადის საერთაშორისოაეროპორტის აღება.

კოალიციურმა ძალებმა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობდა, საკმაოდ მოკლე დროში შეძლო ერაყის აღება, რადგან ისინი საჰაერო სივრცის მეშვეობით ახორციელებდნენ შეტევას და არ შედიოდნენ კონტაქტში მოწინაღმდეგეებთან. ერაყის მხრიდან არ მომხდარა შეწინააღმდეგება, რადგან ისინი აცნობიერებდნენ, რომ აზრი არ ექნებოდა მათი მოძველებული ტექნიკით კოალიციის უმაღლესი კლასის თანამედროვე ავიაციასთან წინააღმდეგობის გაწევას და ზედმეტ მსხვერპლს. ერაყის აეროდრომზე არცერთი თვითმფრინავი არ აფრენილა და შესაბამისად ამერიკულ თვითმფრინავებს ერაყის საჰაერო სივრციდან არცერთი დაბრკოლება არ შექმნიათ. ერაყში ომი საბოლოოდ 1 მაისს დასრულდა.

ერაყის პრეზიდენმა, სადამ ჰუსეინმა მინც მოახერხა გაქცევა, კოალიციურმა ჯარებმა კი განახორციელეს ერაყის ყველაზე დიდი ქალაქების დაკავება. თუმცა, მოგვიანებით, 2003 წლის 13 დეკემბერს სადამ ჰუსეინი თავისივე ქვეყნის ერთ-ერთ

დასახლებაში იქნა აყვანილი და სავარაუდოდ ეს მისი ძალიან ახლო გარემოცვიდან ინფორმაციის გაჟონვის შედეგად მოხდა.

სადამ ჰუსეინმა არ აღიარა არცერთი იმ მძიმე ბრალდებათაგან რაც მას წაუყენეს. მას ბრალი ედებოდა, როგორც ტერორისტულ დაჯგუფება ალ'კაიდასთან კავშირში და ბირთვული იარაღის შენახვაში, ასევე პოლიტიკური და რელიგიური პირების სიკვდილით დასჯაში, ქურთთა გენოციდში, ქურთების ირანში გადასახლებაში და სხვა მრავალ მძიმე დანაშაულში. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ეჭვი არსებობდა მის მიერ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, სასამართლოს განაჩენი მაინც განსაკუთრებული სიმძიმის გახლდათ და ერაყის ყოფილი პრეზიდენტი 2006 წლის 30 დეკემბერს სახალხოდ იქნა სიკვდილით დასჯილი. მის კავშირთან ალ'კაიდასთან და ბირთვულ იარაღზე მუშაობასთან ოფიციალური დამადასტურებელი მასალები დღემდე არაა ცნობილი.

აღნიშნული მოვლენებს ერაყში დიდი არეულობები მოჰყვა, 100 000 პირი, რომელთაც ბაასის პარტიასთან ჰქონდა ნებისმიერი სახის კავშირი სამსახურიდან დაითხოვეს, დაიწყო საპროტესტო აქციები, რომლებიც ძირითადად არეულობით მთავრდებოდა. ეს ყოველივე ერაყში და სრულიად მსოფლიოში ტერორიზმის გაძლიერების პარალელურად მიმდინარეობდა და დღის წესრიგში დადგა განმათავისუფლებელი ძალის გამოყენების საჭიროება.

ამიტომ, ერაყში ნატოს ჩართულობით დაიწყო სამშვიდობო მისია ,,თავისუფლება ერაყის" განხორციელება. მისიის მიზანს წარმოადგენდა ერაყში უსაფრთხოების ზომების გატარება, სისტემის ფორმირება და სამხედრო ძალების გადამზადება და გაძლიერება. ეს ყველაფერი პარტიზანული ომის პარალელურად მიმდინარეობდა, რომელშიც კოალიციის ჩართვა გახდა აუცილებელი. ომს ძალიან ბევრი მებრძოლის სიცოცხლე შეეწირა და საჭირო გახდა როგორც არმიის მატერიალური უზრუნველყოფა, ასევე სამშვიდობო ძლების მივლინებაც მშვიდობის აღსადგენად.

საქართველო აქტიურად ჩაერთო ერაყის სამშვიდობო მისიაში. ქართველი სამხედროები ინტენსიურ სწავლებებს გადიოდნენ, რათა ერაყში მზად ყოფილიყვნენ ისეთი დავალებების შესასრულებლად, როგორიცაა თავდაცვა, შეტევა და სტაბილურობის შენარჩუნება. ჩვენი ჯარისკაცები ეცნობოდნენ ინფორმაციას ერაყში არსებულ შეიარაღებასთან დაკავშირებით.

ჩვენი არმიის მესამე მსუბუქი ქვეითი ბრიგადის მეთაურის შავლეგო ტაბატაძის განცხადებით ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ქართული შეიარაღებული ძალები სრულფასოვნად ერთვებოდნენ სამშვიდობო მისიაში. მან აღნიშნა, რომ ქართულ მხარეს თან საკუთარი საბრძოლო აღჭურვილობა მიჰქონდა, ხოლო ყველა სხვა დანარჩენის უზრუნველყოფას ამერიკის შეერთებული შტატები განახორციელებდა.

მნიშვნელოვანია ასევე მოკავშირე ოფიცრის, ზურაბ აგლაძის განცხადება, რომელშიც მან აღნიშნა, რომ ჰუსეინის რეჟიმის დამხობამ ერაყის ტერიტორიაზე სრული ანარქია გამოიწვია. სუნიტმა მოსახლეობამ დაკარგა ყველა ის პრივილეგია, რომლითაც სარგებლობდა, რასაც მათი მხრიდან წინააღმდეგობა და დაკარგული ძალაუფლების დაბრუნების მცდელობა მოყვა. მდგომარეობას ართულებდა ალ'კაიდას დაჯგუფება, რომლის მიზანსაც მხოლოდ და მხოლოდ არეულობის პროვოცირება წარმოადგენდა, აგრეთვე შიიტებისა და სუნიტების დაპირისპირებები. ერთმანეთს უპირისპირდებოდა მრავალი კლანი, რელიგიური დაჯგუფებები, პოლიტიკური პარტია ბაასი და ა. შ.

2003 წელს ერაყში 49 ქართველი მშვიდობისმყოფელი და ასევე ექმებისა და გამნაღმველების ჯგუფი გაიგზავნა, რომელთა როტაცია ექვს-შვიდ თვეში ერთხელ ხორციელდება. ნელ-ნელა ერაყში მივლენილმა ქართველი სამხედროების რიცხვმა იმატა. მიზანი გახლდათ „მეტი ჯარი და უფრო მნიშვნელოვანი როლი ერაყში".[3]ქართველ მშვიდობისმყოფელებს ერაყში დაევალათ სამოქალაქო

[3]https://www.rferl.org/a/1077830.html2017

ობიექტებისდაცვა და საკონტროლო-გამშვებ პუნქტებზე კონტროლის წარმოება, ასევე ქ. ბაღდადში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შენობის დაცვა.

ამ თემასთან დაკავშირებით იმ პერიოდში, აშშ-ში მყოფმა ქართველმა სამხედრო ატაშემ არჩილ ცინცაძემ განაცხადა, რომ ქართული არმიის ჩართულობა ერაყის სამშვიდობო მისიაში პირველ რიგში განპირობებული იყო მეგობრული დამოკიდებულებით და ჩვენი ქვეყანა მზად იყო დახმარებოდა გაჭირვებაში მყოფ მეგობარს.

ჩვენი ქვეყნის სამხედრო ნაწილის მესამე მსუბუქი ბრიგადის მეთურის შავლეგო ტაბატაძის განცხადებით საქართველოს მხარეს სრულად ქონდა გაცნობიერებული ის დიდი პასუხისმგებლობა და რისკები რაც სპეცოპერაციაში ჩართვით დაეკისრებოდათ ქართველ მშვიდობიმყოფელებს, მაგრამ ქართული არმია გადიოდა ძალიან სერიოზულ მომზადებას, რათა მზად ყოფილიყო ყველა სირთულის დასაძლევად.

ერაყის სამშვიდობო მისიებში ჩართულობამ მნიშვნელოვნად გაზარდა საქართველოს სამშვიდობო ძალების მომზადების დონე და პროფესიონალიზმი. სხვადასხვა სახის ოპერაციებში მონაწილეობამ უდიდესი გამოცდილება შესძინა ჩვენს მშვიდობისმყოფელებს. ჩვენი სამხედროები ღირსეულად ართმევდნენ თავს დაკისრებულ მოვალეობას და მხოლოდ მათ ერგოთ პატივი მიეღოთ სპეციალური მედლები, რომლებსაც მხოლოდ ამერიკელ ჯარისკაცებს ანიჭებენ.

აღსანიშნავია ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის მადლობის წერილი, რომელშიც ნათლადაა ასახული ის პროფესიონალიზმი და პასუხისმგებლობის მაღალი დონე, რომლითაც ჩვენი სამხედროები ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას, მადლობის წერილში აშშ-ს პრეზიდენტი საქართველოს თანადგომას დაჰპირდა.

საქართველოდან მხრიდან ერაყის სამშვიდობო მისიაში 19 როტაცია განხორციელდა და გაგზავნილ იქნა 8495 სამხედრო მოსამსახურე. ერაყში ქართველი მშვიდობისმყოფელების მისიის დასრულება და სამშობლოში

დაბრუნება განაპირობა 2008 წლის აგვისტოს ომმა, რის გამოც ჩვენს სამხედროებს სამშობლოში დაბრუნება მოუწიათ და ამით ჩვენი მისია ერაყის რესპუბლიკაში დასრულდა.

ქართულმა მხარემ მისიაში 3 მშვიდობისმყოფელი დაკარგა, ხოლო 19 დაიჭრა.

საქართველომ ერაყის სამშვიდობო მისიაში მონაწილეობით კიდევ ერთხელ დაამტკიცა რაოდენი წვლილი შეაქვს მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში და მიუხედავად ოკუპირებული ტერიტორიებისა და სამხედრო ნაწილის სიმცირისა, რისკავს სამხედროების სიცოცხლეს და ერთერთი მოწინავეა დიდი ქვეყნების შემდეგ მისიებში ჩართულობით. ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთხელ აჩვენა ყველას რომ ის მნიშვნელოვან და საიმედო პარტნიორს წარმოდგენს, რის შედეგადაც მისი იმიჯი მნიშვნელოვნად ამაღლდა მსოფლიოს თვალში. ქართველი ჯარისკაცების მომზადების ხარისხი უკვე საკმაოდ მაღალ დონეზეა და ჩვენს მშვიდობისყოფელებს თავისუფლად შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

1.5. მისია ავღანეთში

ავღანეთის ისტორიაში ყველაზე მძიმე პერიოდი თალიბანის მმართველობის პერიოდია. აქ ჩამოყალიბდა ტერორისტული ორგანიზაცია ალ'კაიდა და მისმა შექმნამ საფრთხე შეუქმნა ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობას.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის მეორე დღეს, პირველად ამოქმედდა ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლი, ალიანსმა სასწრაფო ზომები მიიღო აშშ-ს მხარდასაჭერად, რომლისთვისაც ტერაქტის შემდეგ ტერორიზმი მთავარ გამოწვევად იქცა. მას შემდეგ რაც თალიბანმა უარი განაცხადა აშშ-სთვის უსამა ბინ ლადენის გადაცემაზე, მყისიერად დაიწყო ტერორიზმის

წინააღმდეგ ბრძოლა. ნატოს მხრიდან დაუყოვნებლივ განხორციელდა ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ხომალდების განთავსება, რომლებსაც უნდა გამოეაშკარავებინათ ტერორიზმში ეჭვიმიტანილი გემები.

იმავე წლის დეკემბერში, ტერორისტული დაჯგუფება ალ-ქაიდასა და თალიბების დამარცხების შემდეგ, ავღანეთის ოპოზიციის ლიდერების მხრიდან დღის წესრიგში დადგა ქვეყნის აღდგენისა და განვითარების საკითხი. საჭირო იყო ავღანეთის მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში რეგიონი კვლავ რჩებოდა თალიბანის რიგების შესავსებად ხელსაყრელ ადგილად, რაც არამხოლოდ ავღანეთის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის საფრთხეს წარმოადგენდა.

კონფერენციაზე მოხდა შეთანხმება, რათა ჩამოყალიბებულიყო საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (International Security Assistance Force – ISAF) ფორმირება. 2003 წლიდან ISAF-ზე, რომელიც წარმოადგენდა საერთაშორისო ძალებს, რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ 51 ქვეყნის მშვიდობისმყოფელები, სრულად ითავა ნატომ. მისიის მიზანს წარმოადგენდა ავღანეთში უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება და რიგი ღონისძიებების გატარება, რომელიც ხელს შეუწყობდა ქვეყნის განვითარებას.

ერთი წლის შემდეგ ნატოს მხრიდან რეგიონში განხორციელდა დამატებითი ჯგუფების გაგზავნა, რომელთა დავალებაც უსაფრთხოების უზრუნველყოფა და აღდგენითი სამუშაოების ჩატარება გახლდათ. ავღანეთი ალიანსისთვის პირველი სამხედრო სახმელეთო ოპერაციაიყო, რადგანკოსოვოს კონფლიქტში მისი კამპანია მხოლოდ საჰაერო გახლდათ.

ავღანეთში, ISAF-ის სამხედრო ოპერაციაში თავდაპირველად მონაწილეობა 50-მა ქართველმა მშვიდობისმყოფელმა მიიღო, რომელთა ამოცანას წარმოადგენდა ავღანეთის საპრეზიდენტო არჩევნების მიმდინარეობისას უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

2004 წლიდან ავღანეთის მისიაში 1700-მდე ქართველი მშვიდობისმყოფელი მონაწილეობდა 84 როტაციით. განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალები (ISAF – International Security Assistance Force), რომელშიც საქართველოს არაწევრ პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი ეკავა. ISAF-ის ოპერაციაში მონაწილეობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს სამხედრო ძალების განვითარებას. აშშ-ს საექსპედიციო ჯგუფის ხელმძღვანელობით, ავღანეთში გამგზავრებამდე ქართველი მშვიდობისმყოფელები მომზადებას საქართველოში გადიოდნენ, რომლის დასრულებისთანავე მათ დონეს ამერიკელ მრჩეველთა და ექსპერტთა ჯგუფი აფასებდა.

2012 წლის მარტში, საქართველოში ვიზიტით მყოფმა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივანმა ლეონ პანეტამ საქართველოს მხარეს მადლობა გადაუხადა თავდადებისთვის და მსხვერპლისთვის „საქართველოს შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ავღანეთში საერთაშორისო ძალებთან ერთად მსახურობენ, დიდი წვლილი მიუძღვით მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში, დიდი პატივია შეერთებულ შტატებთან ერთობლივი მუშაობა ყველაზე პრობლემურ რეგიონში", განაცხადა მან.[4]

აღსანიშნავი და საამაყოა ის ფაქტი, რომ ქართველი სამხედროები თავის ცოდნას ავღანელ ჯარისკაცებს უზიარებდნენ. 2014 წელს, ქართველმა არტილერისტთა დანაყოფმა ავღანურ ბაზა „არწივში", წვრთნა ჩაუტარა ავღანელ სამხედროებს და გაუზიარა უსაფრთხოების ნორმებთან დაკავშირებული ცოდნა.ავღანურმა მხარემ მომხდართან დაკავშირებით კმაყოფილება გამოხატა და მომავალი თანამშრომლობის იმედი გამოთქვა.

საქართველოს სამხედროების დიდი ნაწილი ჰელმანდის პროვინციაში იბრძვის, ის კი არამარტო ავღანეთის, არამედ მსოფლიოს ცხელი წერტილია და

[4] http://www.georgianassociation.org/georgias-contribution-to-the-international-security-assistance-force-in-afghanistan/ 2016

დანაკარგისსაფრთხის რისკი ძალიან დიდია. სამწუხაროდ, ავღანეთის მისიაში საქართველოს დანაკრგი 32 სამხედრო მოსამსახურეს შეადგენს, არიან დაჭრილებიც და დაშავებულებიც.

სამშვიდობო ოპერაციებში ჩართულობით, საქართველო იბრძვის ტერორიზმის წინააღმდეგ, რომელიც 21 საუკუნეში მსოფლიოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. 2013 წლის 6 ივნისს, ჰელმანდის პროვინციაში, სწორედ ტერორისტულ აქტს შეეწირა 6 ქართველი ჯარისკაცი, ხოლო 9 დაიჭრა, როდესაც ტერორისტმა ქართულ მოწინავე ბაზასთან სატვირთო ავტომობილი ააფეთქა. საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა მოვალეა ჩაერთოს ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა უფრო არ გაიზარდოს მსოფლიოს დესტაბილიზაციის რისკი.

2013 წლის 9 ივნისს, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რ.ნორლანდმა ავღანეთში დაღუპულ სამხედროების პანაშვიდის შემდეგ განაცხადა, რომ ქართველი ჯარისკაცების მსხვერპლი უკვალო არ იქნება და რომ აშშ მუდმივად ჩვენს გვერდით დგას.

ჩვენი ქვეყანა ნატოს არაწევრ სახელმწიფოთა შორის პირველ ადგილზეა ჯარისკაცების რაოდენობით ავღანეთის სამშვიდობო მისიებში. ამ ფაქტთან დაკავშირებით საზოგადოებაში მუდმივადაა აზრთა სხვადასხვაობა. ხალხის ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოს ჩართულობა აუცილებელია სამშვიდობო მისიებში სამომავლოდ ნატოში გაწევრიანების თვალსაზრისით, ხოლო მეორენაწილის აზრით, ისედაც დასუსტებული ქვეყნისთვის, რომელიც ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, ამდენი ჯარისკაცის ქვეყნიდან გადინება არასწორია.

მაშინ, როდესაც საქართველომ ღია სურვილი გამოხატა ნატოში გაწევრიანების და ევროპისკენ სწრაფვის, ის ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს ყველა ღონისძიებაში, რაც მსოფლიო უსაფრხოების აღდგენისკენ იქნება

მიმართული, რადგან როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსთვის ნატოსკენ მიმავალ გზაზე ერთ-ერთმნიშვნელოვან ფაქტორს მის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა წარმოადგენს.

ISAF-ის მისია ავღანეთში, რომელიც 13 წელი გაგრძელდა, 2014 წლის 28 დეკემბერს ოფიციალურად დასრულდა, ხოლო ავღანეთში დაიწყო ახალი, ორწლიანი სამშვიდობო მისია, რომლის ძირითად მიზანს ავღანელ სამხედრო მოსამსახურეთა გაწვრთნა წარმოადგენდა.

2014 წლის 15 დეკემბერს ხელი მოეწერა დოკუმენტს ნატოს სამშვიდობო მისიებში ჩვენი ქვეყნის მხარდაჭერის და მონაწილეობის შესახებ და 2015 წლიდან ის სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობით რიგით მეორე კონტრიბუტორს წარმოადგენს აშშ-ს შემდეგ.

ქართველი ჯარისკაცები ღირსეულად ართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას, აღსანიშნავია 2016 წელს საქართველოს თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას სიტყვები, როდესაც ის ავღანეთიდან დაბრუნდა: „მე ახლახან ჩამოვედი ავღანეთიდან, სადაც ვნახე მათი პროფესიონალიზმი, მათი საერთაშორისო აღიარება. საქართველოში თითოეულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ისინი ასრულებენ ძალიან საპასუხისმგებლო ფუნქციას. ეს არის დიდი ნდობის გამოხატულება, მათი დიდი პროფესიონალიზმის აღიარება. ეს მე, როგორც ამ ბიჭების ერთ-ერთ რიგით თანამებრძოლს, მახარებს და მეამაყება. ალბათ, თითოეული ქართველისთვის ეს ძალიან საამაყოა“.

ქართველი მშვიდობისმყოფელების პროფესიონალიზმზე არაერთხელ მიგვიღია მადლობა ნატო და ევროკავშირის მხრიდანაც.

1.6.მისია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში

საქართველოსა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2010 წლის 22 დეკემბერიდან დამყარდა.

2014 წლის 21 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მხარი დაუჭირა ქვეყნის პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის ინიციატივას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის ეგიდით მიმდინარე 6 თვიან ოპერაციაში (EUFOR RCA) საქართველოს შეიარაღებული ძალების ჩართვასთან დაკავშირებით.[5]

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში წლების განმავლობაში ხდებოდა დაპირისპირებები რელიგიურ ნიადაგზე. შეტაკებები ხდებოდა მუსულმან ამბოხებულებსა (ორგანიზაცია „სელეკა“) და ქრისტიანულ პოლიციას შორის, რომელიც დიდი მსხვერპლით მთავრდებოდა.

რეგიონში ერთიმეორის მიყოლებით ხდებოდა ხელისუფლების ძალადობრივიგზით შეცვლა, სახელმწიფო ინსტიტუტების კოლაფსი დაუკანონობასა და რელიგიური მოტივზე დაფუძნებული არაერთი ძალადობა.კრიზისმა უამრავი უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უსახლკაროდ დარჩა მილიონამდე ადამიანი.

2013 წელს დადასტურდა საქართველოს ჩართულობა ევროკავშირის კრიზისის ოპერაციებში, რაც ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერით დამტკიცდა.

საქართველო მისიაში 2014 წლის ივნისიდან ჩაერთო:

- 1 მსუბუქი ქვეითი ასეული ტექნიკით, რომელიც ამავე წელს ორმა ოცეულმა ჩაანაცვლა;
- 2014 წლის აპრილიდან, ქ. ლარისაში მოვალეობას 1 ქართველი მოკავშირე ასრულებდა.

ევროკავშირმა,გაეროს უშიშროების საბჭოს 2014 წლის N#2134 რეზოლუციის ფარგლებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში სამხედრო ოპერაცია - EUFOR RCA დაიწყო. მისიის მიზანს წარმოადგენდა ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფლებისთვის დახმარების გაწევა და რეგიონში უსაფრთხოების ზომების გატარებაში.საქართველომ ოპერაციაში ჩართვის მზაობა გამოხატა.

[5] http://parliament.ge/ge/media/axali-ambebi/centraluri-afrikis-respublikashi-evrokavshiris-operacia-eufor-rca-shi-sagartvelos-sheiaragebuli-dzalebis-gveiti-aseulis-monawileobis-shesaxeb-sagartvelos-prezidentis-brdzanebas-parlama-tanxmoba-misca-40756.page 2014

საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს პარლამენტს შემდეგი სიტყვებით მიმართა: მე, როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალს, მიზანშეწონილად მიმაჩნია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში, ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციაში, საქართველოს შეირაღებული ძალების ქვეითი ასეულის გაგზავნა. მივმართავ, საქართველოს პარლამენტს, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ გადაწყვეტილებას“ - განაცხადა პრეზიდენტმა.52015 წლის ოქტომბერში მიღებული გადაწყვეტილებით, ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოდან, სწრაფი რეაგირების ჯგუფიდან IRT გაიგზავნა 5 სამხედრო მოსამსახურე, (როტაცია 2-ჯერ განხორციელლდა). წლის ივლისში მისია დასრულდა.

EUTM RCA წარმოადგენდა ევროკავშირის საწვრთნელ მისიას, რომლის მთავარი მიზანი თავდაცვის სექტორის რეფორმის ხელშეწყობა გახლდათ, მისიის ვადის ხანგრძლივობა 2 წლით განისაზღვრა და ამ პერიოდში უნდა შექმნილიყო თანამედროვე, ეფექტური და ეთნიკურად დაბალანსებული დემოკრატიული შეიარაღებული ძალები. საქართველომ მისიაში ჩართულობა 35 სამხედროთი განახორციელა.

ქართველი მშვიდობისმყოფელები ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ, გენშტაბის უფროსმა გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ, ევროკავირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა და საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩმა პასკალ მენიემ გააცილეს. მათ სამხედროებს მშვიდობით სამშობლოში დაბრუნება უსურვეს და აღნიშნეს ის დიდი წვლილი, რომელიც მათ მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში შეაქვთ.

ქართველ მებრძოლთა ამოცანას ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში წარმოადგენდა დედაქალაქ ბანგიში, ბაზა „უკატექსზე“ უსაფრთხოების ზომების გატარება რაც გულსიხმობდა კონვოირებას და მოტორიზებულ პატრულირებას.

2016 წლის 12 აპრილიდან, საქართველოდან ცენტრალურ აფრიკის რესპუბლიკაში გაგზავნილმა სწრაფი რეაგირების ხუთეულმა დაკისრებული

სამხედრო-მრჩეველთა მისია 11 სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო პირებთან თანამშრომლობით შეასრულა. ამის შემდგომ შემდეგი ხუთეული გაემგზავრა ცენტრალურ აფრიკაში მისიის შესასრულებლად.

სამშვიდობო ოპერაციის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი მთავრობის ხელშეწყობა, სამშვიდობო ღონისძიებების გატარება და სამხედრო ძალების რეორგანიზაცია. ქართული სამშვიდობო ძალების მგზავრობის და ლოჯისტიკასთან დაკავშირებული ხარჯები სრულიად დაიფარა ევროკავშირისა და ფრანგული მხარის მიერ.

ქართველმა სამხედროებმაშესანიშნავად გაართვეს თავი ევროკავშირის მრჩევლების უსაფრთხოებას და დაკისრებულ ამოცანების შესრულებას.

მისიის დასრულების შემდეგ EUFOR-ის ძალების მეთაურმა, გენერალმა ჟან მარკ ბაკუემ ქართველ ჯარისკაცებს უმაღლესი შეფასება მისცა. მან მადლობა გადაუხადა მაღალ დონეზე შესრულებული სამსახურისთვის და ხაზი გაუსვა ქართველი მშვიდობისმყოფელების პროფესიონალიზს და დიციპლინას. მან საქართველოს რამოდენიმე სამხედრო მოსამსახურეს პირადად გადასცა EUFOR-ის მედლები გაწეული ღვაწლისათვის.

1.7. მისია მალის რესპუბლიკაში

საქართველოსა და მალის რესპუბლიკას შორის დიპლომატიური ურთიერთობების ისტორია მომდინარეობს 2012 წლის 9 მაისიდან. ერთობლივ კომუნიკეზე ხელმოწერა განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი ქ. ნიუ-იორკში.

დასავლეთ აფრიკაში მდებარე მალის რესპუბლიკა დიდი ხნის განმავლობაში გახლდათ საფრანგეთის კოლონია. მისი დამოუკიდება ოფიციალურად 1960 წლის 22 სექტემბრიდან გამოცხადდა.2012 წლიდან კი ქვეყანაში ვითარება უკიდურესად დაიძაბა, რაც განაპირობა ჩრდილოეთ ნაწილში

ტუარეგების აჯანყებამ. იმავე წელს, მალის რესპუბლიკის დედაქალაქ ბამაკოში მოხდა სამხედრო გადატრიალება.

აჯანყებული ტუარეგები არ ემორჩილებოდნენ მალის შეიარაღებულ არმიას, მათ აზავადის (სეპარატისტული ანკლავის-უმეტესად ტუარეგებით დასახლებული) დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, ახორციელებდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის დევნას და აწყობნენ აჯანყებებს ქვეყნის მაშტაბით. ჩამოაყალიბეს აზავადის განმათავისუფლებელი ნაციონალური მოძრაობა, რომელსაც მხარი ალ' კაიდამ და ისლამისტთა დაჯგუფება ანსარ-ად-დინმაც დაუჭირა.

ქვეყნის მასშტაბით გამუდმებით ხორციელდებოდა ისტორიული ძეგლების, მეჩეთების და მავზოლეუმების განადგურება, რადგან აჯანყებულები მსგავს ძეგლებს კერპთაყვანიმცემლობად მიიჩნევდნენ.

აშშ გმობდა ისტორიული ძეგლების განადგურების ფაქტს, სახელმწიფო დეპარტამენტმა რამოდენიმეჯერ მოუწოდა აჯანყებულებს დაეცვათ და შეენარჩუნებინათ კულტურული მემკვდრეობა.

2013 წელს კი საფრანგეთს თანხმობა მიეცა დაეწყო ოპერაცია „სერვალი", რომელსაც აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით განახორციელებდა. საფრანგეთი დიდი ბრიტანეთის დახმარებით მალის ტერიტორიაზე სამხედრო ტვირთს იღებდა.

ოპერაცია „სერვალის" განხორციელებაში ჩართულნი იყვნენ მალისა და მისი მეზობელი ქვეყნების სამშვიდობო ძალები. საფრანგეთის ავიადარტყმების საშუალებით მოხერხდა ამბოხებული ისლამისტების შეჩერება და შემდეგ კი უკიდურეს ჩრდილოეთში განდევნა.ოპერაციის შემდგომ საფრანგეთი მალიში აღარ დარჩენილა და ქვეყნაში მშვიდობის უზრუნველყოფაზე კონტროლი გაერომ აიღო.

გაეროს უშიშროების საბჭოს 2013 წლის N#2085 რეზოლუციის შესაბამისად, ევროკავშირმა მალიში დაიწყო მისი EUTM MALI, რომელიც მშვიდობისმყოფელთა საწვრთნელ მისიას გულისხმობდა. თავიდან მანდატი 2 წელი გახლდათ, რაც

შემდგომ 2018 წლამდე გახანგრძლივდა. მისიის მიზანსწარმოადგენდა მალის არმიის წვრთნა, რათა მათ შეძლებოდათ ტერიტორიული მთლიანობის და დაცვის უზრუნველყოფა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და მოსახლეობის უსაფრთხობის მიზნით სამხედრო ღონისძიებების წარმატებულად ჩატარება. ევროკავშირის მისიას ხელმძღვანელობდა ფრაგი გენერალი ფრანსუა ლეკუანტრასი.

2012-2014 წლებში საქართველოს მთავრობაში აქტიურად მსჯელობდნენ საქართველოს არმიის მალის სამშვიდობო მისიაში ჩართვის შესახებ. საბოლოოდ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველო აუცილებლად ჩაერთვებოდა მისიაში, რადგან ევროპასთან დაახლოების გზაზე მდგარი პატარა ქვეყნისთვის ეს იქნებოდა უკიდურესად მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი.

მნიშვნელოვანია მალის სამშვიდობო მისიაში ქართველი მებრძოლი მალხაზ მარლანის განცხადება, რომელიც მეკავშირე ოფიცრის მოვალეობას ასრულებდა: „ხშირად ვაცხადებთ, რომ დასავლეთთან ინტეგრაციის გზაზე ვდგავართ, გვსურს ვიყოთ ნატოში, ევროკავშირში და ა.შ. სწორედ ეს მისიები წარმოადგენს იდეალურ საშუალებას იმისთვის, რომ ქვეყანამ და თითოეულმა ჯარისკაცმა საკუთარი თავი და შესაძლებლობები გამოსცადოს ვართ თუ არა მზად იმისთვის, რომ ამ სრულფასოვანი ერთობის წევრი გავხდეთ".[6]

ჩვენი ქვეყნის სამშვიდობო ძალების მალის მისიაში ჩართვა 2016 წლიდან განხორციელდა. ქართველ მშვიდობისმყოფელებს დაევალათ "თანამშრომლობა ადგილზე მიმდინარე მისიებთან, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ინფორმაციის გაცვლა და კოორდინაცია, ასევე სამხედრო სამოქალაქო თანამშრომლობის საკითხების განხორციელება".[7]

[6] http://newpress.ge/me-samshvidobo-misiashi-namyofi-var- -qartveli-jariskacistvis-nishnavs-rom-me-var-srulfasovani-mebrzoli 2016
[7] https://mod.gov.ge/ge/mission/59/misia-malis-respublikashi

1.8. საქართველო საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში საქართველოს როლი და ადგილი, ისევე როგორც სხვა, მსგავსი პატარა და განვითარების გზაზე მყოფი ქვეყნებისა ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენი ქვეყანა მუდმივად მიილტვის საერთაშორისო სისტემაში მეგობრული ურთიერთობისაკენ.

პატარა ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების კონცეფციის ქონა, რათა მათ შეძლონ დამოუკიდებლად არსებობა.

პატარა ქვეყნებს განეკუთვნებიან ისეთი ქვეყნები, რომლებიც სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით სხვაზე არიან დამოკიდებულნი. მათ მუდმივად უწევთ ბრძოლა გადარჩენისთვის და საერთაშორისო ასპარეზზე თავის დამკვიდრებისთვის. პატარა ქვეყნები თავის ხასიათს და შესაძლებლობებს ყოველთვის დიდი ზეწოლის ჟამს ავლენენ, მათ არ გააჩნიათ აგრესიის გამოხატვის თავისუფლება.

საქართველოსთვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების მფარველობა და დაძაბული სიტუაციისა და კონფლიქტების დროს მათი მხარდაჭერა, ასევე მათი როლი დიდია ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია შიდა უსაფრთხოება, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის სამომავლო მშვიდობას და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას. ამისთვის კი აუცილებელია ძლიერი სამხედრო ძალები, რომლითაც საქართველო ყოველთვის ამაყობდა და ასეა დღემდე. მაგრამ ძლიერ არმიას და მათ გადასამზადებელ ღონისძიებებს კოლოსალური თანხები ესაჭიროება, რაც სამწუხაროდ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში მყოფ საქართველოს არ გააჩნია და ამიტომ ამ კუთხით ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი.

ჩვენი ქვეყანა აქტიურადაა ჩაბმული მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეებში, როგორიცაა ტერორიზმი, კიბერდანაშაული და ასე შემდეგ. ქვეყანამ მიზნად დაისახა გახდეს ევროპული ოჯახის ნაწილი და ამიტომ იზიარებს ევროატლანტიკურ ფასეულობებს და დიდი წვლილი შეაქვს მსოფლიო კეთილდღეობის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველო მონაწილეობს ევროკავშირის სამშვიდობო მისიებში, როგორიცაა აფრიკის რესპუბლიკაში EUFOR RCA.

ჩვენი მშვიდობისმყოფელები მონაწილეობდნენ ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში განხორციელებულ ISAF-ის მშვიდობის აღდგენის მიზნით ჩატარებულ მისიაში. 2015 წლიდან ქართველ ჯარისკაცებს თავისი წვლილი შეაქვთ ავღანეთში ნატოს „მტკიცე მხარდაჭერის მისია“-ში.

ქვეყანას აქტიური კონსულტაციები აქვს ევროკავშირთან, რათა განავითაროს ურთიერთოებები საერთო უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის (CSDP) ფარგლებში.

ქვეყანა მზაობას გამოთქვამს აქტიური მონაწილეობა მიიღოს ეუთოს ორგანიზაციის საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, ხელი შეუწყოს ორგანზაციის ეფექტიანობის გაზდას არამხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ეუთოს სივრცის მასშტაბით.

საქართველოს განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობა გააჩნია და ამიტომ მის ტერიტორიაზე არსებობს ენერგეტიკული, სატრანსპორტო და სხვადასხვა მაგისტრალები. ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა, რაც მნიშვნელოვანი იქნება როგორც მისი, ასევე ევროპის ქვეყნების ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის.

საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს ასევე ჰიდრო-ენერგეტიკის სფეროში. ქვეყნის ენერგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ელექტროსადგურების მშენებლობა. პერპექტივაშია ელექტროენერგიის ექსპორტი ევროპის ქვეყნებშიც. ძალიან მნიშვნელოვანი იქნება

გაძლიერდეს ევროკავშირის ინტერესი იმ ენერგოპროექტების მიმართ, რომლებიც განხორციელდება საქართველოს გავლით.

დღესდღეობით მსოფლიო ისეთი გამოწვევების წინაშე დგას, როგორიცაა ტერორიზმი, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული და ა.შ.

ყველასათვის ნათელია რთული მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რაც დიდ რისკს ქმნის განხორციელდეს ტერორისტული აქტები ან ორგანიზებული დანაშაული.

21-ე საუკუნის ერთ-ერთი დიდი გამოწვევა ასევე გახლავთ მასობრივი იარაღის გავრცელება. საქართველოში კი როგორც ტრანზიტულ ქვეყანაში შეიძლება განხორციელდეს იარაღის უკანონო გადაზიდვების მცდელობები. ამ მხრივ დიდ საფრთხეს ისევ და ისევ ოკუპირებული ტერიტორიები წარმოადგენს, სადაც შეიძლება განხორციელდეს იარაღის გადინების ან გავრცელების შემთხვევები, ეს ფაქტი კი არამხოლოდ საქართველოს, არამედ საერთაშორისო უსაფრთხოებას შეუქმნის საფრთხეს. ამიტომ ჩვენი ქვეყანა აქტიურად იბრძვის მოახდინოს იარაღისა და მასი შემადგენელი კომპონენტების უკონტროლო გავრცელების პრევენცია.

ჩვენი ქვეყანა უცხოელ კოლეგებთან ერთად აქტიურადაა ჩართული აღნიშნული პრობლემების გადაჭრის საკითხებში, რაც ზრდის მის როლს მსოფლიოს თვალში და დადებითად მოქმედებს მის იმიჯზე.

მაშინ, როცა ჩვენი ქვეყნის 20% ოკუპირებულია, საქართველო ვალდებულია ითანამშრომლოს და აქტიურად მიაწოდოს ხმა საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოს მიმართ განხორციელებულ უსამართლო ქმედებებზე.

თავი II. საქართველოს ჩართულობა სამშვიდობო მისიებში და ნატო-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობების განვითარების პერსპექტივები

2.1. ნატო-საქართველოს ურთიერთობების განვითარება

საქართველოს და ნატოს თანამშრომლობის ისტორია მრავალ წელს ითვლის. ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის უკიდურესად მნიშვნელოვანია ალიანსში გაწევრიანება და ამიტომ საქართველო ცდილობს არ გადაუხვიოს გზიდან და სრულად გაიზიაროს მისი ფასეულობები თუ პრინციპები.

ნატოს უმთავრეს ამოცანას წევრი ქვეყნების უსაფრთხოება და აგრესიისგან დაცვა წარმოადგენს. ხელშეკრულების მეხუთე მუხლის თანახმად, ნატოს ნებისმიერ წევრ ქვეყანაზე თავდასხმა ითვლება ყველა წევრზე თავდასხმად, სწორედ ამიტომ ის ერთადერთი საერთაშორისო ორგანიზაციაა, რომელსაც ყველანაირი რესურსი გააჩნია შეინარჩუნოს კოლექტიური უსაფრთხოება.

ამჟამად ნატოს წევრი ქვეყნების რაოდენობა 28-ს შეადგენს. ბოლო ორი ქვეყანა გახლავთ ალბანეთი და ხორვატია, რომლებიც ალიანსმა 2009 წელს მიიწვია.

პარტნიორი ქვეყნები ორმხრივად თანამშრომლობენ. მათი უმეტესობა მონაწილეობს ნატოს ეგიდით გამართულ სამშვიდობო მისიებში, როგორიცაა ავღანეთში და კოსოვოში. ყველა პარტნიორს დაკისრებული აქვს კონკრეტული დავალებები, რომელთა განხორციელებაც მსოფლიო მშვიდობასა და სტაბილურობას უწყობს ხელს.

1991 წელს, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველო მრავალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა, მას უნდა შეენარჩუნებინა როგორც ტერიტორიული მთლიანობა, ასევე უსაფრთხოება და დემოკრატიული განვითარება, ამიტომ ქვეყანამ გეზი პროდასავლური კურსისკენ აიღო.

1992 წელს საქართველო შეუერთდა ჩრდილო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC) და სწორედ ამ დროიდან მომდინარეობს ნატო-

საქართველოს ურთიერთობები. 1997 წლიდან საბჭოს სახელი გადაერქვა და ევრო-ატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC-Euro-Atlantic Partnership Council) ეწოდა, სადაც განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები საქართველოს აქტიური მონაწილეობით.

1994 წელს საქართველო შეუერთდა ნატოს პროგრამა „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ (PfP - Parntnership for Peace) და აქტიურად ჩაერთო ერთობლივად დაგეგმილ წვრთნებში და ღონისძიებებში. პროგრამის მიზანს აგრეთვე წარმოადგენს მონაწილე ქვეყნებისთვის ნატოსთან ურთიერთობების გამყარების შესაძლებლობების მიცემა. ამავე წელს მოხდა ხელშეკრულების ხელმოწერა აზერბაიჯანსა და დასავლურ კომპანიებს შორის, რომელიც გულისხმობდა კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვებას და მის ტრანსპორტირებას. აღნიშნულმა ფაქტმა კი ნატოს ინტერესები კავკასიის რეგიონთან მიმართებაში მნიშვნელოვნად გაზარდა.

1999 წლიდან კი საქართველო უკვე ჩართულია ნატოს „დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესში“ (PARP-Planning and Review Process), რომელში მონაწილეობაც პარტნიორ ქვეყნებს ხელს უწყობს ადგილობრივი სამხედრო ძალები გახადონ ალიანსის სამხედრო ძალებთან თავსებადი, რაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია თითოეული ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

2002 წელს კი პრაღის სამიტზე, საქართველოს მხრიდან პირველად იქნა გაჟღერებული ნატოში გაწევრიანების სურვილი და ამ დროიდან ალიანსსა და საქართველოს შორის ურთიერთობები უფრო და უფრო ღრმავდება.

2004 წელს თანამშრომლება იწყება ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმაზე (IPAP - Individual Partnership Action Plan), რომლის ფარგლებშიც საქართველომ ალიანსის წინაშე შესასრულებელი ვალდებულებები აიღო და შეუდგა დემოკრატიული რეფორმების განხორციელებას. ალიანსის საერთაშორისო სამსახურმა IPAP-ის განხორციელების შეფასება 2004-2005 წლებში ხუთჯერ განახორციელა (ოთხჯერ ოფიციალურად და ერთხელ

არაოფიციალურად), რასაც მოჰყვა ალიანსის გადაწყვეტილება საქართველოსთან „ინტენსიური დიალოგი გაწევრიანების საკითხებზე“ (IDIntensified Dialogue on Membership Issues) დაეწყო. გადაწყვეტილებამ ფორმალურად გადაიყვანა ჩვენი ქვეყანა პარტნიორობის ფორმატიდან ნატოს წევრობის კანდიდატ ქვეყანათა სიაში და კიდევ ერთხელ გახადა თვალსაჩინო ქვეყნის მისწრაფება ალიანსთან ინტეგრაციისა.

ინტენსიური დიალოგის ფარგლებში გამართულმა მრავალმა კონსულტაციამ, რომელიც გულისხმობდა პოლიტიკურ, უსაფრთხოების, თავდაცვის, მეცნიერების, კონფლიქტების მოგვარებისა და სხვა საკითხებს, საქართველოს საშუალება მიეცა ნატოში გაწევრიანების კრიტერიუმების უკეთ გაცნობისა.

საქართველოს მხრიდან აღებული ვალდებულებების წარმატებით განხორციელებისა და ურთიერთთანამშრომლობით მიღწეული პროგრესის საფუძველზე, უმნიშვნელოვანესია ფაქტი, რომელიც გულისხმობს 2008 წელს, ბუქარესტის სამიტზე ალიანსის გადაწყვეტილებას, რომ „საქართველო გახდება ნატოს წევრი “.

აღსანიშნავია 2008 წელს, რუსეთის მხრიდან საქართველოს მისამართით განხორციელებული ძალისმიერი ქმედების შემდეგ, ნატოს მხრიდან გამოცხადებული სრული პოლიტიკური მხარდაჭერა. წევრი ქვეყნების მიერ დაგმობილ იქნა რუსეთის აგრესიული ქმედებები საქართველოს მისამართით.

2008 წლის დეკემბრიდან კი ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) ჩაანაცვლა თანამშრომლობის დაწყებამ წლიურ ეროვნულ პროგრამასთან (ANP - Annual National Programme), რაც გულისხმობს გაწევრიანების გზაზე მყოფი ქვეყნების თანამშრომლობის პრაქტიკულ მექანიზმს, რისი მიღებაც საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ფაქტობრივად საქართველომ მიიღო გაწევრიანების პრაქტიკული მექანიზმი MAP-ზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების გარეშე. პროგრამა გულისხმობდა

ერთი წლის განმავლობაში საქართველოს მხრიდან განსახორციელებელი ღონისძიების ჩამონათვალს, რაც საშუალებს მისცემდა ალიანსთან უფრო მეტად დაახლოებისა.

აღსანიშნავია 2010 წელს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს მიერ მიღებული დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც საჩხერის სამთო მომზადების სკოლას მიენიჭა ნატოს პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის„ (NATO/PfP) სამთო მომზადებისა და განათლების ცენტრის სტატუსი.

ასევე უმნიშვნელოვანესია ამავე წელს ქ. თბილისში ნატოს სამოკავშირეო ოფისის (NLO-NATO Liason Office) ოფიციალურად გახსნა, რომლის უმთავრეს მიზანს ისევ და ისევ ნატოში საქართველოს ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენდა.

2011 წელს ნატოს შტაბ-ბინაში საქართველო მონტენეგროსთან, ბოსნია-ჰერცეგოვინასთან და ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონიასთან ერთად, ფორმალურად მოხსენიებულ იქნა, როგორც ასპირანტი ქვეყნა. 2012 წელს კი ალიანსთან განხორციელდა ასპირანტი ქვეყნების შეხვედრა და კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ალიანსის მხარდაჭეარას მათ მიმართ.

2014 წელს ნატოს უელსის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ნატო საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP-Substantial NATO-Georgia Package)შემუშავების შესახებ, რაც გულისხმობდა საქართველოს მომზადებას გაწევრიანებისთვის. ალიანსის მხრიდან კიდევ ერთხელ იყო აღნიშნული ჩვენი ქვეყნის უდიდესი წვლილი ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში.

2015 წელს შედგა შეხვედრა ნატოს საგარეო საქმეთა მინისტრებს შორის, რომლის დროსაც მოხდა განცხადების მიღება „ღია კარის“ პოლიტიკის თაობაზე. მოკავშირე ქვეყნების მხრიდან დადასტურდა ერთგულება ბუქარესტის სამიტის გადაწყვეტილების მიმართ, რომლის მიხედვით საქართველო უნდა გახდეს ნატოს

წევრი. წევრი ქვეყნების მხრიდან განცხადებულ იქნა, რომ საქართველოს ყველა მექანიზმი გააჩნია, რათა მოემზადოს ალიანსის წევრობისთვის.

საქართველო 2009 წლიდან აქტიურად ჩაერთო თავდაცვის განვითარების პროგრამაში, რომლის მიზანი გახლავთ საქართველოს თავდაცვის სფეროს განვითარება. ხორციელდება სხვადასხვა სწავლებები, კურსები, შეხვედრები და ვიზიტები. პროგრამის მიზანია ეროვნული თავდაცვის აკადემიის განვითარება.

2009 წლიდან ასევე ხორციელდება პროფესიული განვითარების საერთაშორისო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია უსაფრთხოების სექტორში მომუშავე პირთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

1994 წლიდან საქართველო აქტიურად მონაწილეობს ,,მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის" პროგრამაში, რომელშიც ალიანსისა და საქართველოს ურთიერთობა განიხილება ისეთ ჭრილშიც, როგორიცაა ენერგეტიკული უსაფრთხოება, კიბერუსაფრთხოება, მეცნიერება და ასე შემდეგ. უმნიშვნელოვანესია ტერორიზმთან და ბირთვულ თავდაცვასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც დღესდღეობით ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწმვევაა მსოფლიოს მაშტაბით.

2016 წელს საქართველომ უმასპინძლა ნატოს ფარგლებში განხორციელებულ ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმს, რომელსაც ნატო-საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელი მაღალი რანგის თანამდებობის პირები და ნატოს საერთაშორისო სამსახურის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ. ფორუმი ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და განხილულ იქნა საკითხები, როგორიცაა პროპაგანდასთან ბრძოლის პრობლემები და პერსპექტივები, სტრატეგიული კომუნიკაციები და ასე შემდეგ.

2015 წლის 27 აგვისტოს, კრწანისის ეროვნული საწვრთნელი ცენტრის ტერიტორიაზე, გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი, რომლის მიზანს წარმოადგენს გაზარდოს ქართული არმიის თავდაცვიანობის ეფექტურობა და გახადოს ის ნატოსთან თავსებადი. ცენტრში

260-მდე ქართველი სამხედრო თუ სამოქალაქო პირი ირიცხება, ასევე ირიცხებიან ოფიცრები ნატოს პარტნიორი ქვეყნებიდანაც.

ცენტრს გააჩნია უმაღლესი დონის თანამედროვე მომზადების სტანდარტები. ხორციელდება მაღალ დონეზე დაგეგმილი სიმულაციური თუ რეალური ოპერაციები და წვრთნები. ცენტრი ორინტირებულია ქართველ ჯარისკაცებს განუვითაროს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, რათა მათ შეეძლოთ მოქნილი მოქმედება რთულ სიტუაციებში.

2018 წელს ბრიუსელის სამიტზე შეხვედრა გაიმართა უშუალოდ საქართველოს საკითხებთან დაკავშირებით. შეხვედრაზე მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია, რომელშიც საქართველოს საკვანძო საკითხებთან ერთად ასახულია ალიანსის ერთპიროვნული მხარდაჭერა ჩვენი ქვეყნისადმი.

2019 წლის 23 იანვარს, ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს უმასპინძლა. შეხვედრაზე მან მან განაცხადა: „საქართველო უნიკალური პარტნიორია, ნატოს პარტნიორობა საქართველოსთან ჩვენ ყველას უფრო უსაფრთხოს გვხდის და მოუთმენლად ველი თქვენთან მუშაობას მაშინ, როდესაც საქართველო სულ უფრო უახლოვდება ნატოს წევრობას“.[8]

2019 წლის 25 მარტს ამჯერად საქართველომ უმასპინძლა ნატოს გენერალურ მდივან იენს სტოლტენბერგს, რომელმაც ერთობლივი წვრთნების ცენტრი მოინახულა. სტოლტენბერგმა აღნიშნა საქართველოს უდიდესი როლი ავღანეთის სამშვიდობო მისიაში და მადლობა გადაუხადა ქართველ მშვიდობისმყოფელებს იმ წვლილისთვის, რომელიც მათ ერთობლივი უსაფრთხოების საქმეში შეაქვთ.

2019 წლის 27 მარტს საქართველოს სტუმრად ეწვია ნატოს სამხედრო კომიტეტი და მისი საჰაერო ხელმძღვანელი სენ სტიუარტი. ვიზიტის ფარგლებში

[8] https://www.nato.int/cps/en/natohq/photos_162550.htm?selectedLocale=ru 2019

დელეგაციამ მოინახულა ვაზიანის სამხედრო ბაზა და დაესწრო ნატო-საქართველოს ერთობლივ წვრთნებს.

2.2. სამშვიდობო ოპერაციების არსი და მნიშვნელობა

მრავალი ქვეყნისთვის ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის არსი და მნიშვნელობა ძალიან დიდია. ნატო რჩება უალტერნატივო გამოსავლად, რადგან ის ასოცირდება უსაფრთხოებასთან, მშვიდობასთან, ტერიტორიული მთლიანობის დაცვასა და სტაბილურობასთან.

დღევანდელი მსოფლიო გამოწვევების ფონზე ძალიან მნიშვნელოვანია ალიანსის მიერ გატარებული მაღალი დონის დიპლომატია, რაც დაკავშირებულია მაღალ დონეზე გამართულ სამშვიდობო ოპერაციებთან, სამხედრო კამპანიებთან და ა.შ. ნატოს აღებული აქვს ვალდებულება, რათა განახორციელოს მრავალრიცხოვანი პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ უსაფრთხოების კუთხით მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

ნატო-მ დაარსების დღიდან მრავალი ცვლილება განიცადა, რათა გაძლიერებულიყო და მსოფლიოში მომძლავრებულ აგრესიას და მრავალ გამოწვევას მომზადებული შეხვედროდა. ყველაზე მაშტაბური და მნიშვნელოვანი მისი ცვლილებებიდან გახლავთ გადაწყვეტილება ჩართულიყო მოუგვარებელ კონფლიქტებში და სამშვიდობი მისიები გაეგზავნა ნებისმიერ რეგიონში სადაც საჭიროება მოითხოვდა, განურჩევლად გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა. ალიანსი მზადაა გამოეხმაუროს საფრთხეს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

ამას კი მოწმობს მისი ეგიდით განხორციელებული სამშვიდობო ოპერაციები და დიპლომატიური მოლაპარაკებები. ალიანსი ძალისხმევას არ იშურებს, რათა უზრუნველყოს წევრი თუ არაწევრი ქვეყნების უსაფრთხოება, დაიცვას და ააცილოს მათ გარე აგრესია. უმნიშვნელოვანესია მისი კოლექტიური თავდაცვის პრინციპი, რომლის მიხედვითაც მის ნებისმიერ წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა ავტომატურად გულისხმობს ყველა წევრ ქვეყანაზე თავდასხმას.

წევრი სახელმწიფოები, რომლებიც მონაწილეობენ ნატოს მიერ განხორციელებულ ოპერაციებში, ვალდებულნი არიან გამოყონ შეიარაღებული ძალები, რადგან ნატოს მუდმივ საწყისებზე სამხედრო ძალები არ გააჩნია. თუმცა

ნატოს ჰყავს კარგად მომზადებული „სწრაფი რეაგირების ძალები“, რომელთა მთავარი ვალდებულებაა საჭიროების შემთხვევაში ობიექტის ხუთი დღით ადრე დაკავება და სრულმაშტაბიანი ოპერაციის დაწყების ხელშეწყობა.

ალიანსისი სამშვიდობო ოპერაციებმა (ბალკანეთი 1995 წ, კოსოვო 1999 წ, მაკედონია 2001 წ, ავღანეთი 2003 წ) ნათლად დაანახა მსოფლიოს ორგანიზაციის სიძლიერე. მის მიერ განხორციელებულმა მისიებმა დაადასტურეს, რომ მას შეუძლია მშვიდობის დამყარება არამხოლოდ ევროატლანტიკურ სივრცეში, არამედ მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

საქართველოსთვის, რომელმაც განვითარების დასავლური კურსი აირჩია ალიანსთან თანამშრომლობა და სამშვიოდობო მისიებში ჩართულობა უმნიშვნელოვანესია. გარდა იმისა, რომ ქვეყანას დიდი როლი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოების საქმეში, ასევე იზრდება ქართული სამშვიდობო ძალების გამოცდილება და თავსებადი ხდება ნატოსთან. ჩვენი სამხედროები გადიან მაღალი დონის მომზადებას, როგორც თეორიულ ასევე პრაქტიკულ საკითხებში. მისიებში მონაწილეობით ქართული არმიის პრესტიჟი მნიშვნელოვნად იზრდება საერთაშორისო არენაზე, რადგან ჩვენმა სამხედროებმა ბევრჯერ გამოიჩინეს თავი სიმამაცით და პროფესიონალიზმით, რისთვისაც უამრავი ჯილდო დაიმსახურეს.

არსებობს ბევრი მოსაზრება საქართველოს სამხედრო ძალების სამშვიდობო მისიებში ჩართულობასთან დაკავშირებით. ადამიანების გარკვეული კატეგორია თვლის, რომ ისედაც დასუსტებული ქვეყნისთვის ძალიან დიდი რისკია მისიებში ჩართულობა და არმიის საფრთხის ქვეშ დაყენება, მაგრამ იმ მიზანს საითკენაც საქართველო მიილტვის, წარმოუდგენელია მიაღწიოს ოპერაციებში მონაწილეობის გარეშე. ვერანაირი სიმულაციური წვრთნები ვერ მისცემს ჯარისკაცებს ისეთ გამოცდილებას, როგორც პრაქტიკული. ჩვენი მშვიდობისმყოფელები მომზადებას უმაღლესი სტანდარტებით გადიან, იღებენ თეორიულ და პრაქტიკულ განათლებას ტერორიზმის მიმართულებით, სწავლობენ თანამედროვე ტექნიკის გამოყენების უნარებს და ა. შ. მისიებში

ჯარისკაცები სულისკვეთებით სავსენი არიან, ხოლო სამშობლოში დაბრუნების შემდგომ ხდება მათი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას. გარდა ამისა საქართველოს ალიანსის წინაშე აღებული აქვს გარკვეული ვალდებულებები, რომლის მიხედვითაც ის აუცილებლად უნდა ჩაერთოს მისიებში და ხაზი გაუსვას ნატოში გაწევრიანების სურვილს.

ძალიან საამაყოა, რომ საქართველოს უკვე ყავს ისეთი მაღალ დონეზე გაწვრთნილი და საამაყო ჯარი, რომელსაც ძალუძს სრულფასოვნად ჩაერთოს და მონაწილეობა მიიღოს სამშვიდობო მისიებში და წვლილი შეიტანოს მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

საქართველოს და ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ურთიერთობის დაწყებისთანავე დაიგეგმა მაღალი დონის წვრთნები და პრაქტიკები, რომლის ხარჯებიც სრულად ფინანსდებოდა ალიანსის მხრიდან. ნატოსთან დაახლოების შემდეგ საქართველოს არმიის მომზადება არა საბჭოური, არამედ ევროპული და თანამედროვე მექანიზმებით მიმდინარეობს. 2006-2007 წლებში განხორციელდა ძველი ტექნიკის განადგურება და მათი ჩანაცვლება სრულიად თანამედროვე აღჭურვილობითა და ტექნიკით.

დღევანდელ დღეს, როდესაც მძვინვარებს ტერორიზმი და ის მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი გამოწვევაა, ჩვენს ქვეყანას აუცილებლად სჭირდება საერთაშორისო მხარდაჭერა, რათა თავიდან იქნას აცილებული ისეთი საფრთხეები როგორიცაა ტერორიზმი, უსაფრთხოება და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევები. სამხედრო პოტენციალის ამაღლებით ჩვენი ქვეყანა გვევლინება როგორც პატარა, მაგრამ ძლიერი არმიის მქონე საიმედო ქვეყნად.

საქართველო ყველანაირ ღონეს ხმარობს, რათა მოახდინოს შესაბამისი სტრუქტურების გაძლიერება. რუსეთი და მისი აგრესია დღევანდელ დღეს ისევ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს, რადგან ის დღემდე არ კარგავს ინტერესს კავკასიისადმი, რაც ნათლად გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ,

როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს მისამართით განხორციელებული აგრესიული ქმედება ახსნა ხელის შეშლით მის ალიანსში გაწევრიანებისადმი. მაშინ როდესაც ჩვენი ქვეყნის დიდი ტერიტორია ოკუპირებულია რუსეთის მხრიდან, ფაქტიურად შეუძლებლად გვესახება ალიანსში გაწევრიანება, მაგრამ საქართველო მაინც არ იშურებს ძალისხმევას და არც ალიანსის მხრიდან შეცვლილა დამოკიდებულება ჩვენი ქვეყნისადმი. საქართველოს ნატოში გაწევრიანება მკვეთრად შეასუსტებს რუსეთის გავლენას და ინტერესების გატარებას რეგიონში. შავი და კასპიის ზღვის დაკარგვა რუსეთს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენებს, რადგან დაკარგავს წვდომას ენერგორესურსებზე. სწორედ ამიტომ არ იშურებს საქართველო ენერგიას ნატოში ინტეგრაციისკენ და ცდილობს პირნათლად შეასრულოს ყველა ის რთული ვალდებულება რაც ალიანსმა დააკისრა.

ძალიან მნიშვნელოვანია აღნიშნულ რთულ სიტუაციაში ისეთი დიდი და ძლიერი ქვეყნების მხარდაჭერა როგორიც გერმანიაა. 2019 წლის ნოემბერში, საქართველოში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, გერმანიის პრეზიდენტი ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერი საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილს შეხვდა.

შტაინმაიერმა განაცხადა, რომ გერმანია, მიუხედავად ძალზე რთული ვითარებისა, ღიად უჭერს მხარს საქართველოს და ყველა შესაძლო დახმარებას აღმოუჩენს მისი გეგმების აღსრულების საქმეში. მან ყურადღება გაამახვილა მძიმე მდგომარეობაზე ოკუპირებულ ტერიტორიებზე. იგულისხმა რა რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი რეგიონები სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, მან აღნიშნა, რომ „გერმანიას ძალიან კარგად აქვს შეგნებული, რომ საქართველო არ ცხოვრობს კეთილმეზობლურ გარემოცვაში“.[9]

[9] https://www.dw.com/de/steinmeier-d%C3%A4mpft-georgiens-hoffnung-auf-nato-beitritt/a-50728429?fbclid=IwAR1XBf7g6b6goWZHzF8mvXeBAzYOqOsbHQY0c5ACx4kk9HriNnnjgAZTcU 2019

შტაინმაიერმა აღნიშნა, რომ საქართველოსა და ნატოს შორის ხელშეკრულებით არსებულ ღონისძიებათა პაკეტის განხორციელება ნატოს სტანდარტებთან მისაახლოებლად დიდი გამოწვევაა საქართველოსთვის. მან ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ გერმანიისა და საქართველოს შეიარაღებული ძალები უკვე მუშაობენ ერთობლივად, მაგალითად, ავღანეთში.

გერმანიის პრეზიდენტმა ასევე მოინახულა საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია (EUMM European Union Monitoring Missio in Georgia) ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთის საზღვართან, რათა პირადად გასცნობოდა იქ არსებულ რთულ მდგომარეობას.

საქართველოს უდავოდ ესაჭიროება ძლიერი ქვეყნების თანადგომა და მათი დახმარებით მაღალი სტანდარტებით გაწვრთნილი ჯარის ჩამოყალიბება, შეიძლება ითქვას უფრო მეტადაც კი, ვიდრე ევროპის რომელიმე ქვეყანას, რადგან რუსეთიდან მომავალი საფრთხე რეალურია და ჩვენმა მშვიდობისმყოფელებმა საჭიროების შემთხვევაში უნდა შეძლონ მათი აგრესიის შეკავება.

მისიებში ჩართულობით ჩვენი ჯარი პრაქტიკულ წვრთნებს გადის, რომელსაც ვერანაირი იმიტირებული წვრთნა ვერ შეცვლის. რა თქმა უნდა ჩვენს ქვეყანას არ აქვს იმის გარანტია, რომ მისიებში ჩართულობის შემდეგ აუცილებლად გახდება ნატოს წევრი, მაგრამ მნიშვნელოვანია მსოფლიომ დაინახოს, რომ საქართველო არა მხოლოდ თავადაა პრობლემური ქვეყანა, ის შეგვიძლია პრობლემის მომგვარებლადაც განვიხილოთ.

ნატო ერთპიროვნულად უჭერს მხარს საქართველოს მთლიანობას და პერიოდულად მოუწოდებს რუსეთს გადაწყვეტილების შეცვლისკენ, რომელიც გულისხმობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას. ფაქტია, რომ ალიანსისგან გვაქვს სრული მხარდაჭერა, მაგრამ ისიც ნათელია, რომ ალიანსში გაწევრიანებით მნიშვნელოვნად გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ვალდებულებები. შესაძლებელია სამშვიდობო მისიების დროს მოხდეს

გაცილებით დიდი რაოდენობის სამშვიდობო ძალების ჩართვა, მაგრამ მეორეს მხრივ საქართველოს ეყოლება საიმედო ძლიერი ძალა.

აღსანიშნავი და ძალიან სასიამოვნო იყო 2020 წელს შვეიცარიის ქალაქ დავოსში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე გამართულ დისკუსიაზე თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრ მევლუთ ჩავუშოღლუს გამოსვლა, სადაც მან მკაფიოდ დააფიქსირა თავისი მოსაზრება საქართველოს ნატოში მიღების თაობაზე: „არ მესმის, რატომ არ მოვიწვიეთ საქართველო ან არ ავამოქმედეთ საქართველოსთვის MAP-ი, რათა ის წევრი გახდეს, საქართველოს ვჭირდებით ჩვენ და ჩვენ გვესაჭიროება ისეთი მოკავშირე, როგორიც საქართველოა. ასე რომ, გვჭირდება გაფართოება და საქართველო წევრი უნდა გახდეს“,[10] განაცხადა ჩავუშოღლუმ და კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი საქართველოს ჩართულობას და მის უდიდეს როლს საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე 2020 წლის მაისში ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო ონსტიტუტის (USNI) მიერ გამოქვეყნებული სტატია, რომელშიც ავტორი ლეიტენანტი გრეის ჰოვარდი საქართველოს შავი ზღვის გასაღებად მოიხსენიებს. სტატიაში საუბარია რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებზე და აღნიშნულია, რომ ამერიკამ უნდა გააძლიეროს საქართველო და უკრაინა ისე, რომ მათ შეძლონ თავად გაუმკლავდნენ რუსეთიდან მომდინარე აგრესიას, რომელიც ორიენტირებულია საზღვრების გაფართოებაზე. აღნიშნული სურვილი განახორციელა კიდეც, როდესაც თავს დაესხა ორ აშშ-ს პარტნიორ ქვეყანას. სტატიაში აღნიშნულია, რომ ჩვენი ქვეყანა იდეალურია პარტნიორობისთვის, აქვს სტრატეგიული მდებარეობა და ამასთან მხურვალედ უჭერს მხარს ამერიკის შეერთებულ შტატებს.

სტატიის თანახმად, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, როდესაც რუსეთმა საქართველოზე თავდასხმა განახორციელა, რასაც მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიის

[10] https://www.trtworld.com/opinion/nato-should-follow-turkey-s-advice-and-make-georgia-a-member-33446 2019

20%-ის ოკუპაცია, საქართველოს მხრიდან გაიზარდა როგორც აშშ-ს მიმართ მხარდაჭერა, ასევე გაორმაგა ვალდებულებები ნატოში შესვლისთვის. სტატიაში აღნიშნულია ის ლომის წვლილი, რომელიც საქართველომ შეიტანა ერაყისა და ავღანეთის მისიებში და ასევე ქვეყნის მცდელობა ნატოშიგაწევრიანებისთვის, მაგრამ მაშინ როდესაც ტერიტორიის 20% ოკუპირებულია, ქვეყნისთვის ძალიან რთულდება დასახული მიზნის მიღწევა. სტატიაში აღნიშნულია, თუ როგორ კომფორტულად გრძნობს თავს რუსეთი, როდესაც ის თავს ესხმის აშშ-ს მოკავშირე ქვეყნებს, ვიდრე ისინი ნატოს წევრები არ არიან და ამ ყველაფრის შესაჩერებლად კი საჭიროა აშშ-ს მხრიდან მტკიცე თანადგომა „შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ნატო-ში შესვლას მტკიცედ უნდა დაუჭიროს მხარი, რათა მკაფიოდ აჩვენოს, რომ რუსეთს არ შეუძლია გაწევრიანებაზე ვეტოს დადება ქვეყნებში შეჭრის გზით. ეს გრძელვადიანი მიზანია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია აშშ-ის ინტერესების დასაცავად“,[11]- ნათქვამია სტატიაში.

2019 წელს საქართველის ყოფილმა თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვირჯინიაში ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა გამართა ნატოს წარმომადგენლებთან, რომლის ფარგლებშიც შედგა შეთანხმება წელს შავი ზღვის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებით. მხარეების მხრიდან 2022 წელს დაიგეგმა ერთობლივი წვრთნების ჩატარება და საქართველოს შეიარაღებული ძალების კიდევ უფრო მიახლოება ალიანსის სტანდარტებთან. შეხვედრაზე ამერიკული მხარის მიერ აღნიშნულ იქნა ქართული არმიის წარმატებული ჩართულობა სამშვიდობო მისიებში და პატარა ქვეყნის მაგალითი დანარჩენი ქვეყნებისადმი, რაც უკიდურესად მნიშვნელოვანია მსოფლიოს თვალში საქართველოს იმიჯის ამაღლებისთვის.

იმ შემთხვევაში თუ ჩვენი ქვეყანა ნატოს წევრი გახდება, ალიანსის მხრიდან მნიშვნელოვნად გაიზრდება ინტერესები, რათა მის პარტნიორ ქვეყანაში

[11] https://www.interpressnews.ge/ka/article/601104-amerikis-samxedro-sazgvao-instituti-ashsh-ma-sakartvelos-nato-shi-shesvlas-mtkiced-unda-dauchiros-mxari-rata-mkapiod-achvenos-rom-rusets-ar-sheuzlia-gacevrianebaze-vetos-dadeba-kveqnebshi-shechris-gzit 2019

დაისადგუროს სიმშვიდემ და სტაბილურობამ. ის იზრუნებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დაცვაზე, რომელიც ახლა ასე მნიშვნელოვნად გვიშლის ხელს ნატოსთან ინტეგრაციაში.

დასკვნა

ჩვენს მიერ ნაშრომში განხილულია სამშვიდობო ოპერაციების არსი და მნიშვნელობა, თუ რა როლს ასრულებენ ისინი მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში. მოცემული საკითხის აქტუალურობა გამოწვეული იყო დღეისათვის მსოფლიოში არსებული უამარავი კონფლიქტური რეგიონით, რომელთა მოგვარების თვალსაზრისით საერთაშორისო სამშვიდობო ორგანიზაციების ჩართულობა უალტერნატივო გამოსავლად გვევლინება.

საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მისიების დასაფინანსებლად საკმაოდ დიდი თანხების გამოყოფა ხდება. იმ ქვეყნისთვის, რომელშიც კონფლიქტი განეიტრალებულია და უკვე მიღწეულია შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამშვიდობო მისიების მივლენას, რადგან ისინი ქვეყანას ეხმარებიან როგორც ფინანსური კუთხით, ასევე შემდგომი კონფლიქტის დარეგულირების და თავიდან აცილების თვალსაზრისითაც.სამშვიდობო მისიების ძირითადი მიზანია სამხედრო და ძალისმიერი ქმედებების თავიდან აცილება. სამხედრო ტექნიკის გამოყენება კი შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ თავდაცვის მიზნით. სამშვიდობო მისიების დასაწყებად აუცილებელია გაეროს მიერ გაცემული რეზოლუცია, მის გარეშე აკრძალულია ნებისმიერი სამშვიდობო ოპერაციის ჩატარება.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ საქართველოსა და ნატოს ურთიერთობები, თუ რა როლი ენიჭება ქვეყნისთვის ალიანსში ინტეგრაციას. როგორ ცდილობს ჩვენი ქვეყანა პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული ვალდებულებები.

თემაში ვისაუბრეთ საქართველოს ჩართულობაზე ისეთი დონის სამშვიდობო მისიებში როგორიცაა კოსოვო, ერაყი, ავღანეთი, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და მალის რესპუბლიკა. აღნიშნულ მისიებში ჩვენი ქვეყანა წარმოჩინდა ერთ-ერთ მოწინავე კონტრიბუტორ ქვეყნად.

წლების მანძილზე, მისიებში ჩართულობის დროს ქართველ ჯარისკაცებს უწევდათ ძალიან რთული და სარისკო დავალებების შესრულება, რასაც მათ წარმატებით გაართვეს თავი და მსოფლიოს წინაშე საქართველოს დაუმკვიდრეს საიმედო მოკავშირის სახელი.

სწორედ ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის წყალობით, საქართველოს უკვე ჰყავს მაღალ დონეზე გაწვრთნილი და საამაყო ჯარი, რომელსაც შეუძლია სრულფასოვნად ჩართვა სამშვიდობო მისიებში და საკმაოდ დიდი წვლილის შეტანა მსოფლიო მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეში.

ნაშრომში საუბარია იმ მაღალი დონის წვრთნებსა და პრაქტიკაზე, რომლის ხარჯებსაც სრულად ანაზღაურებს ალიანსი. დღეისათვის ჩვენი არმია აღჭურვილია მაღალი დონის თანამედროვე ტექნიკით.

მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი ოკუპირებულია, ქართული სამშვიდობო ძალების ჩართულობა სამშვიდობო მისიებში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ამასთან ნათელია რომ ალიანსში ინტეგრაციით მნიშვნელოვნად გაიზრდება ჩვენი ქვეყნის ვალდებულებები, მაგრამ მეორესმხრივ ალიანსის წყალობით საქართველო იძენს დიდ და საიმედო ძალას.

თემაში განხილულია საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და ის ხელსაყრელი ტერიტორიული მდებარეობა, რომლითაც ის საინტერესოა როგორც ამერიკისთვის ასევე ევროპის ქვეყნებისთვისაც, როგორც ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ევროპა, რომელსაც არ სურს ენერგეტიკულად დამოკიდებული იყოს რუსეთზე ან სპარსეთის ყურეზე, ეძებს ალტერნატიულ გზებს და საქართველო შეგვიძლია განვიხილოთ როგორც კანდიდატი ქვეყანა

იმპორტირებისათვის. საქართველო მნიშვნელოვანია ბათუმისა და ფოთის პორტებითაც, რომლებიც მაღალგამტარიანი ეფექტურობით გამოირჩევა.

სამშვიდობო მისიებში ჩართულობით ჩვენი სამხედროები უდიდეს გამოცდილებას იძენენ და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ისინი გამოცდილებას სხვა მშვიდობისმყოფელებსაც უზიარებენ. ასევე ისინი თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას იღებენ კონტრტერორისტულ საკითხებთან დაკავშირებით. ქვეყნის იმიჯი მსოფლიოს თვალში მკვეთრად უმჯობესდება. ქართველ ჯარისკაცებს უკვე დამოუკიდებლად შეუძლიათ გაწვრთნან ავღანელი ჯარისკაცები. ამავდროულად, ის რეფორმები რაც ჩვენს ქვეყანაში ტარდება, თანხვედრაშია ალიანსის მიერ გაცემულ რეკომენდაციებთან და ის ასპირანტ ქვეყნად მოიაზრება.

მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მძიმეა თითოეული მშვიდობისმყოფელის დაკარგვა მისიებში ჩართულობის დროს, სამომავლოდ საქართველოს მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში აუცილებლად შეუწყობს ხელს და დააჩქარებს საქართველოს ევროპაში ინტეგრაციას, ეს კი ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების და განვითარების უმთავრესი წინაპირობაა.

გამოყენებულილიტერატურა

1. ე.გვენეტაძე ი.რუხაძე - ნატო (NATO) საერთაშორისო ურთერთობებში. თბილისი 2009 წ;
2. პეტრიაშვილი ა. 2008-2018 წელი ბუქარესტიდან: "საქართველო გახდება ნატოს წევრი". 2018;
3. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. თბილისი, 2014;
4. ჯახველაძე ც. ერაყი ახლო აღმოსავლეთის დილემა. თბილისი, 2019;
5. რონდელი ა. პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში;
6. მალაშხია შ. კონფლიქტების ანატომია;
7. ჩიტაძე ნ. ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, 2007;
8. ცინცაძე ს. (რედ), საქართველო - ნატო, საწყისები, რეალობა, პერსპექტივები. თბ., 2008 წ.

ქართული ინტერნეტ რესურსები

1.საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო https://mfa.gov.ge/Home.aspx(გადამოწმებულია 10.05.2020);
2. საერთაშორისო მისიები https://mod.gov.ge/ge/mission(გადამოწმებულია 15.05.2020);
3. საქართველოს არმიის როლი საერთაშორისო სამშვიდობო მისიაში https://www.radiotavisupleba.ge/a/2053740.html(გადამოწმებულია 15.05.2020);
4. საქართველო და ნატო http://old.infocenter.gov.ge/nato-peacekeeping-missions(გადამოწმებულია 15.05.2020);
5. საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივები http://georgianpress.ge/com/news/view/2045?lang=1 (გადამოწმებულია 16.05.2020);
6. თანამშრომლობა ნატოსთან https://mod.gov.ge/ge/page/38/tanamshromloba-natostan(გადამოწმებულია 16.05.2020);
7. რა ინტერესი აქვს ნატოს საქართველოს მიმართ?

http://sknews.ge/index.php?newsid=7803(გადამოწმებულია 16.05.2020);
8. საქართველოს შეიარაღებული ძალები სამშვიდობო მისიებში 1999 წლიდან დღემდე https://gmas.ge/2017/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/15403/(გადამოწმებულია 16.05.2020);
9. ერაყის ომის დაწყებიდან ათი წელი გავიდა https://www.radiotavisupleba.ge/a/ten-years-from-irwar/24933452.html(გადამოწმებულია 20.05.2020);
10. აშშ-ერაყის კონფლიქტის რეალური მიზეზები და შედეგები https://konpliqtebi2017.wordpress.com/2017/11/02/%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%A7%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A0%E1%83%94/

(გადამოწმებულია 20.05.2020);

11. ევროკავშირის თავდაცვისა და უსაფრთხოების ერთიანი პოლიტიკა (CSDP) და საქართველოს ჩართულობა http://www.newpress.ge/evrokavshiris-tavdacvisa-da-usafrtxoebis-ertiani-politika-csdp-da-saqartvelos-chartuloba(გადამოწმებულია 25.05.2020);
12. ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრი http://old.infocenter.gov.ge/#Organization(გადამოწმებულია 25.05.2020);
13. რატომ ვიბრძვით ავღანეთში? http://www.tabula.ge/ge/story/58508-ratom-vibrdzvit-avghanetshi(გადამოწმებულია 25.05.2020);
14. ნატოს გენერალური მდივანი: „საქართველო გამორჩეული პარტნიორია“ file:///C:/Users/PC/Desktop/Zurab%20Otarashvili.pdf(გადამოწმებულია 30.05.2020);
15. ამერიკის სამხედრო საზღვაო ინსტიტუტი - აშშ-მა საქართველოს ნატო-ში შესვლას მტკიცედ უნდა დაუჭიროს მხარი, რათა მკაფიოდ აჩვენოს, რომ რუსეთს არ შეუძლია გაწევრიანებაზე ვეტოს დადება ქვეყნებში შეჭრის გზით nterpressnews.ge/ka/article/601104-amerikis-samxedro-sazgvao-instituti-ashsh-ma-sakartvelos-nato-shi-shesvlas-mtkiced-unda-dauchiros-mxari-rata-mkapiod-achvenos-rom-rusets-ar-sheuzlia-gacevrianebaze-vetos-dadeba-kveqnebshi-shechris-gzit (გადამოწმებულია 30.05.2020);
16. ქართულმა ასეულმა ცენტრალურ აფრიკაში სამშვიდობო მისია დაასრულა https://info9.ge/sazogadoeba/114422-qarthulma-aseulma-centralur-afrikashi-samshvidobo-misia-daasrula.html?lang=ka-GE(გადამოწმებულია 30.05.2020);
17. საქართველოს კონტრიბუცია საერთაშორისო მისიებში და მისი როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაში

http://acge.ge/2015/05/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A3%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/(გადამოწმებულია 30.05.2020);

18. ქართველი სამხედროები საერთაშორისო მისიებში – ბრძოლა საქართველოს მომავლისთვის https://www.radiotavisupleba.ge/a/brzola-sakartvelos-momavlistvis/27958108.html(გადამოწმებულია 30.05.2020);
19. "მე სამშვიდობო მისიაში ნამყოფი ვარ _ ქართველი ჯარისკაცისთვის ნიშნავს, რომ მე ვარ სრულფასოვანი მებრძოლი" http://newpress.ge/me-samshvidobo-misiashi-namyofi-var-_-qartveli-jariskacistvis-nishnavs-rom-me-var-srulfasovani-mebrzoli(გადამოწმებულია 30.05.2020);
20. ამერიკის სამხედრო საზღვაო ინსტიტუტი - აშშ-მა საქართველოს ნატო-ში შესვლას მტკიცედ უნდა დაუჭიროს მხარი, რათა მკაფიოდ აჩვენოს, რომ რუსეთს არ შეუძლია გაწევრიანებაზე ვეტოს დადება ქვეყნებში შეჭრის გზით https://www.interpressnews.ge/ka/article/601104-amerikis-samxedro-sazgvao-instituti-ashsh-ma-sakartvelos-nato-shi-shesvlas-mtkiced-unda-dauchiros-mxari-rata-mkapiod-achvenos-rom-rusets-ar-sheuzlia-gacevrianebaze-vetos-dadeba-kveqnebshi-shechris-gzit(გადამოწმებულია 01.06.2020);

უცხოური ინტერნეტ რესურსები

21. NATO Military Committee visit Georgia in show of continued support https://www.nato.int/cps/en/natohq/news_165091.htm?selectedLocale=en(გადამოწმებულია 03.06.2020);
22. The President of Georgia visits NATO https://www.nato.int/cps/en/natohq/photos_162550.htm?selectedLocale=ru(გადამოწმებულია 03.06.2020);
23. NATO should follow Turkey's advice and make Georgia a member https://www.trtworld.com/opinion/nato-should-follow-turkey-s-advice-and-make-georgia-a-member-33446(გადამოწმებულია 03.06.2020);
24. Steinmeier dämpft Georgiens Hoffnung auf NATO-Beitritt https://www.dw.com/de/steinmeier-dämpft-georgiens-hoffnung-auf-nato-beitritt/a-50728429?fbclid=IwAR1XBf7g6b6goWZHzF8mvXeBAzYOqOsbHQY0c5ACx4kk9HriNnnjgAZTcU(გადამოწმებულია 03.06.2020);
25. NATO's role in Kosovo https://www.nato.int/cps/en/natolive/topics_48818.htm(გადამოწმებულია 03.06.2020);
26. Georgia: More Troops, More Important Role In Iraq

https://www.rferl.org/a/1077830.html(გადამოწმებულია 03.06.2020);
27. Georgia's contribution to the International Security Assistance Force in Afghanistan http://www.georgianassociation.org/georgias-contribution-to-the-international-security-assistance-force-in-afghanistan/(გადამოწმებულია 04.06.2020);
28. NATO Military Committee visit Georgia in show of continued support https://www.nato.int/cps/en/natohq/photos_162550.htm?selectedLocale=ru(გადამოწმებულია 04.06.2020);
29. THE CONCEPT AND TYPE OF PEACE OPERATIONS https://www.armyacademy.ro/reviste/rev1_2014/COJOCARU.pdf(გადამოწმებულია 05.06.2020).